

UNIDROIT PRINCIPLES

UNIDROIT-ს საერთაშორისო სავაჭრო (კომერციული) ხელშეკრულებების პრინციპები 2016

პრეამბულა (პრინციპების მიზანი)

წინამდებარე პრინციპები ადგენენ საერთო წესებს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებისათვის.

მათი გამოყენება შესაძლებელია, როდესაც მხარეები თანხმდებიან რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება დარეგულირდეს წინამდებარე პრინციპებით.¹

მათი გამოყენება შესაძლებელია, როდესაც მხარეები თანხმდებიან რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება დარეგულირდეს სამართლის საერთო პრინციპებით, *lex mercatoria*-თი ან მსგავსი წესებით.

მათი გამოყენება შესაძლებელია, როდესაც მხარეები არ შეთანხმებულან მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაზე გამოსაყენებელ სამართალზე.

მათი გამოყენება შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის უნიფიცირებული სამართლებრივი ინსტრუმენტების [აქტების] განმარტებებისა თუ შევსებისათვის.

მათი გამოყენება შესაძლებელია, ეროვნული სამართლის განმარტებებისა თუ შევსებისათვის.

ისინი შესაძლოა გამოყენებული იქნეს, როგორც ნიმუში ნაციონალური თუ საერთაშორისო კანონმდებლებისათვის.

¹ მხარეებს, რომლებსაც სურთ, რომ მათ შორის არსებული შეთანხმება დარეგულირდეს წინამდებარე პრინციპებით, შეუძლიათ გამოიყენონ UNIDROIT-ის საერთაშორისო სავაჭრო (კომერციული) ხელშეკრულებების პრინციპების გამოყენებისთვის შემუშავებული სამოდელო დათქმებიდან ერთ-ერთი (იხ. <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/upicc-model-clauses>).

UNIDROIT PRINCIPLES

თავი 1 - ზოგადი დებულებები

მუხლი 1.1

(ხელშეკრულების თავისუფლება)

მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და განსაზღვრონ მისი შინაარსი.

მუხლი 1.2

(ფორმის თავისუფლება)

წინამდებარე პრინციპები არ ითვალისწინებს ხელშეკრულების, განცხადების ან რაიმე სხვა აქტის განსაკუთრებული ფორმით შედგენის ვალდებულებას. მისი დამტკიცება შესაძლებელია ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებითაც.

მუხლი 1.3

(ხელშეკრულების მბოჭავი ხასიათი)

მართლზომიერად დადებული ხელშეკრულება მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონეა [მბოჭავია]. მისი შეცვლა ან შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ მისი პირობების ან ცალკეული შეთანხმების ან სხვაგვარად, ამ პრინციპებით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 1.4

(იმპერატიული ნორმები)

წინამდებარე პრინციპების არცერთი დებულება არ კრძალავს იმ ეროვნული, საერთაშორისო ან/და ზეეროვნული იმპერატიული ნორმების გამოყენებას, რომელთა გამოყენებაზეც შესაბამისი საერთაშორისო კერძო სამართლით დადგენილი წესები მიუთითებენ.

მუხლი 1.5

(მხარეთა მიერ გამორიცხვა ან შეცვლა)

მხარეებს შეუძლიათ გამორიცხონ ამ პრინციპების გამოყენება ან ნაწილობრივ უარი თქვან მისი რომელიმე დებულებების გამოყენებაზე ან შეცვალონ მისი რომელიმე

UNIDROIT PRINCIPLES

დებულების მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე პრინციპებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

მუხლი 1.6

(პრინციპების განმარტება და შევსება)

- (1) წინამდებარე პრინციპების განმარტებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი საერთაშორისო ხასიათი და მისი მიზნები, პრინციპების ერთგვაროვანი გამოყენების ხელშეწყობის საჭიროების ჩათვლით.
- (2) საკითხები, რომლებიც ექცევა პრინციპების მოქმედების სფეროში, თუმცა პირდაპირ არ აწესრიგებს მათ, უნდა გადაწყდეს ამ პრინციპების ზოგადი საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 1.7

(კეთილსინდისიერება)

- (1) მხარეებმა უნდა იმოქმედონ საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.
- (2) მხარეებს არ აქვთ წინამდებარე მუხლის პირველი პარაგრაფით აღნიშნული ვალდებულების გამორიცხვის ან შეზღუდვის უფლება.

მუხლი 1.8

(წინააღმდეგობრივი ქმედებები)

მხარეს არ შეუძლია იმოქმედოს იმ წარმოდგენის შეუსაბამოდ რომელიც მან თავისივე მოქმედებით შეუქმნა მეორე მხარეს და რომლის საფუძველზეც მეორე მხარემ განახორციელა ზიანის მომტანი ქმედება არსებული წარმოდგენისადმი გონივრული ნდობის პირობებში.

მუხლი 1.9

(ჩვეულებები და პრაქტიკა)

- (1) მხარეები შებოჭილნი არიან იმ ჩვეულებებით, რომლებზეც შეთანხმდნენ, და იმ პრაქტიკით, რომელიც მათ შორის ურთიერთობით დამკვიდრდა.
- (2) მხარეები შებოჭილნი არიან იმ ჩვეულებებით, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობისთვის ფართოდ არის ცნობილი და მუდმივად გამოიყენება

UNIDROIT PRINCIPLES

კონკრეტული ტიპის ვაჭრობის დროს მხარეთა მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი ჩვეულების გამოყენება არ იქნება გონივრული.

მუხლი 1.10

(შეტყობინება)

- (1) თუ შეტყობინება აუცილებელია, ის უნდა განხორციელდეს არსებული გარემოებებისათვის ნებისმიერი შესაფერისი საშუალებით.
- (2) შეტყობინება ნამდვილია იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარე მიუვა.
- (3) ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებისთვის, შეტყობინება მეორე მხარესთან ჩაითვლება „მისულად“, თუ მეორე მხარეს შეატყობინეს ზეპირად ან შეტყობინება მივიდა ამ მხარის საქმიანობის ან საფოსტო მისამართზე.
- (4) ამ მუხლის მიზნებისათვის, „შეტყობინება“ მოიცავს განცხადებას, მოთხოვნას, გამოთხოვას/შუამდგომლობას ან ნების სხვა ნებისმიერ კომუნიკაციას.

მუხლი 1.11

(დეფინიციები)

ამ პრინციპების მიხედვით:

- „სასამართლო“ მოიცავს საარბიტრაჟო ტრიბუნალსაც.
- როდესაც მხარე რამდენიმე ადგილას ერთდროულად საქმიანობს, ხელშეკრულების შესაბამისი „საქმიანობის ადგილი“ არის ის, რომელსაც ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს ხელშეკრულებასა და მის შესრულებასთან, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელებიც მხარეებისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ითვალისწინებდნენ მათ არსებობას ხელშეკრულების დადებამდე, ან დადების მომენტში.
- „გრძელვადიანი ხელშეკრულება“ ნიშნავს ხელშეკრულებას, რომლის შესრულებაც ხორციელდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და, როგორც წესი, სხვადასხვა ხარისხით მოიცავს გარიგების სირთულეს და მხარეებს შორის მიმდინარე ურთიერთობას;
- „მოვალე“ არის მხარე, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება, ხოლო „კრედიტორი“ არის მხარე, რომელსაც აქვს შესრულების მიღების უფლება.
- „წერილობით“ ნიშნავს კომუნიკაციის ნებისმიერ საშუალებას, რომელიც ინახავს ჩანაწერ ინფორმაციას და ექვემდებარება ხელშესახები ფორმით რეპროდუქციას.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 1.12

(მხარეთა მიერ დადგენილი ვადების გამოთვლა)

- (1) ვადების გამოთვლისას ოფიციალური სადღესასწაულო და უქმე დღეები, რომლებიც ემთხვევა მხარეთა მიერ განსაზღვრულ პერიოდს, ჩაითვლება იმ ვადაში, რომელიც მხარეებმა დაადგინეს მოქმედების შესასრულებლად.
- (2) თუმცა, თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან სადღესასწაულო დღეს იმ მხარის საქმიანობის ადგილას, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ვადა გაგრძელდება მომდევნო სამუშაო დღემდე, თუ გარემოებები სხვა რამეს არ მიუთითებს.
- (3) ვადების გამოთვლისას გამოიყენება ის სასაათე სარტყელი [საათობრივი ზონა], რომელშიც იმყოფება ვადის დამდგენი მხარის საქმიანობის ადგილი, თუ გარემოებები სხვა რამეს არ უთითებს.

თავი 2 - ხელშეკრულების დადება და წარმომადგენლის უფლებამოსილება

ნაწილი 1: ხელშეკრულების დადება

მუხლი 2.1.1

(ხელშეკრულების დადება)

მხარეთა შორის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ოფერტზე აქცეპტის განხორციელებით, ან მხარეთა ისეთი ქმედებით, რომელიც საკმარისია რათა ხელშეკრულება ჩაითვალოს დადებულად.

მუხლი 2.1.2

(ოფერტის განსაზღვრება)

ხელშეკრულების დადების შესახებ შეთავაზება წარმოადგენს ოფერტს, თუ ის არის საკმარისად განსაზღვრული და გამოხატავს ოფერენტის განზრახვას აქცეპტის შემთხვევაში შეასრულოს თავისი წინადადება და იყოს აღნიშნული განზრახვით შებოჭილი.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 2.1.3

(ოფერტის გაუქმება)

- (1) ოფერტი ნამდვილია, როცა ის მიუვა აქცეპტანტს.
- (2) ოფერტი, მაშინაც კი, როდესაც ის არ არის გაუქმებადი, შეიძლება იქნეს გაუქმებული თუ ოფერტის გაუქმების შესახებ ოფერენტის შეტყობინება უფრო ადრე ან ოფერტთან ერთად მიუვა აქცეპტანტს.

მუხლი 2.1.4

(ოფერტის გამოხმობა)

- (1) ხელშეკრულების დადებამდე ოფერტი შეიძლება ოფერენტის მხრიდან იქნეს გამოხმობილი იმ შემთხვევაში, თუ გამოხმობა აქცეპტანტს მიუვა მანამდე, სანამ აქცეპტანტი გააგზავნის აქცეპტს.
- (2) თუმცა, ოფერტის გამოხმობა არ შეიძლება:
 - (ა) თუ ის აქცეპტის განხორციელებისთვის განსაზღვრულ დროზე მითითებით ან სხვაგვარად მიანიშნებს, რომ ოფერტი არ ექვემდებარე გამოხმობას;
 - (ბ) თუ გონივრული იყო აქცეპტანტს ევარაუდა, რომ ოფერტი არ ექვემდებარებოდა გამოხმობას და მოქმედებდა ამ ვარაუდზე დაყრდნობით.

მუხლი 2.1.5

(უარი ოფერტზე)

ოფერტი უქმდება როდესაც ოფერტზე უარი მიუვა ოფერენტს.

მუხლი 2.1.6

(აქცეპტი)

- (1) აქცეპტანტის განცხადება ან სხვა ქმედება, რომელიც მიუთითებს ოფერტზე თანხმობაზე არის აქცეპტი.
- (2) აქცეპტი ნამდვილია როცა ოფერტზე დათანხმებაზე მითითება ოფერენტს მიუვა.
- (3) თუმცა, ოფერტის ხასიათიდან გამომდინარე ან მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკიდან ან ჩვეულებებიდან გამომდინარე, აქცეპტანტმა შეიძლება განხორციელოს აქცეპტი მოქმედების განხორციელებით, ისე რომ არც შეატყობინოს ამის შესახებ ოფერენტს. ასეთ შემთხვევაში აქცეპტი ნამდვილია მოქმედების განხორციელების მომენტიდან.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 2.1.7

(აქცეპტის განხორციელების დრო)

ოფერტზე აქცეპტის გზით თანხმობა უნდა გაკეთდეს ოფერენტის მიერ განსაზღვრულ დროში, ან თუ დრო არ არის განსაზღვრული, გონივრულ ვადებში გარემოებათა გათვალისწინებით, ოფერენტის მიერ განმეორებით გამოყენებული კომუნიკაციის საშუალების გათვალისწინებით. ზეპირი ოფერტზე აქცეპტი უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებები სხვაგვარად უთითებს.

მუხლი 2.1.8

(აქცეპტი განსაზღვრულ დროში)

ოფერენტის მიერ აქცეპტისთვის განსაზღვრული დროის დენა იწყება ოფერტის გაგზავნის მომენტიდან. დრო რომელიც აღნიშნულია ოფერტში არის გაგზავნის დრო, თუ გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 2.1.9

(დაგვიანებული აქცეპტი. გადაცემის დაგვიანება)

- (1) დაგვიანებული აქცეპტი მაინც ჩაითვლება ნამდვილად თუ ოფერენტი შეატყობინებს ან სხვაგვარად აცნობებს აქცეპტანტს, რომ იგი [ოფერენტი] დაგვიანებულ აქცეპტს განიხილავს ნამდვილად.
- (2) თუ კომუნიკაცია, რომელიც შეიცავს დაგვიანებულ აქცეპტს ნათელს ხდის, რომ დროული მიწოდების შემთვევაში აქცეპტი დროულად მიუვიდოდა ოფერენტს, მაშინ დაგვიანებული აქცეპტი ჩაითვლება ნამდვილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფერენტი გაუმართლებელი [შეუსაბამო] დაყოვნების გარეშე შეატყობინებს აქცეპტანტს, რომ იგი [ოფერენტი] ოფერს განიხილავს, როგორც ვადაგასულს [გაუქმებულს].

მუხლი 2.1.10

(აქცეპტის გამოხმობა)

აქცეპტი შეიძლება გამოხმობილ იქნეს თუ აღნიშნული გამოხმობა მანამდე ან იმავე დროს მოხდება, როდესაც აქცეპტი ნამდვილი უნდა გამხდარიყო.

მუხლი 2.1.11

UNIDROIT PRINCIPLES

(მოდულირებული აქცეპტი)

- (1) ოფერტზე პასუხი, რომელიც გამიზნულია აქცეპტად, მაგრამ შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებს ან სხვა მოდიფიცირებებს, მაშინ იგი განიხილება, როგორც უარი ოფერტზე და წარმოადგენს ახალ ოფერტს.
- (2) თუმცა, ოფერტზე პასუხი, რომელიც გამიზნულია აქცეპტად, მაგრამ შეიცავს დამატებებს ან სხვა პირობებს, რომლებიც არსებითად არ ცვლის ოფერტის პირობებს წარმოადგენს აქცეპტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფერენტი, გაუმართლებელი [შეუსაბამო] დაყოვნების გარეშე, პრეტენზიას აცხადებს აქცეპტში მითითებულ განსხვავებულ პირობებზე. თუ ოფერენტი პრეტენზიას არ აცხადებს, მაშინ ხელშეკრულების პირობებს წარმოადგენს ოფერტის პირობები იმ ცვლილება-მოდიფიკაციებით, რაც აქცეპტში არის მითითებული.

მუხლი 2.1.12

(შეტყობინება დასტურის შესახებ)

თუკი შეტყობინება, რომელიც გაგზავნილია ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში და რომელიც, გამიზნულია, როგორც ხელშეკრულების დასტური, მოიცავს დამატებით, ან შეცვლილ პირობებს, ასეთი პირობები ხდებიან ხელშეკრულების ნაწილი, თუკი ისინი არსებითად არ ცვლიან ხელშეკრულებას ან მისი მიმღები, გაუმართლებელი [შეუსაბამო] დაყოვნების გარეშე, არ განაცხადებს პრეტენზიას ხელშეკრულების შეუსაბამოებებზე.

მუხლი 2.1.13

(ხელშეკრულების დადების დამოკიდებულება შეთანხმების კონკრეტულ პირობებზე ან განსაკუთრებულ ფორმაზე)

როდესაც მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთი მხარე დაჟინებით აცხადებს, რომ ხელშეკრულება არ ითვლება დადებულად მანამ, სანამ არ მოხდება შეთანხმება კონკრეტულ საკითხზე ან განსაკუთრებული ფორმით, ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად მანამ, სანამ შეთანხმება არ მოხდება ამ პირობებზე ან ამ განსაკუთრებული ფორმით.

მუხლი 2.1.14

(ხელშეკრულება განზრახ ღიად დატოვებული პირობებით)

- (1) თუკი მხარეები განიზრახავენ დადონ ხელშეკრულება, ის ფაქტი, რომ ისინი მიზანმიმართულად გამოტოვებენ გარკვეულ პირობას, რათა მასზე მხარეები სამომავლო მოლაპარაკებების შემდგომ შეთანხმდებიან ან იქნება განსაზღვრული მესამე პირის მიერ, არ უშლის ხელს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულება დაიდოს.
- (2) ხელშეკრულების არსებობა არ არის დამოკიდებული იმ ფაქტზე, რომ შემდეგში:

UNIDROIT PRINCIPLES

- (ა) მხარეები ვერ თანხმდებიან ამ [ლიად დატოვებულ] პირობაზე; ან
- (ბ) მხარე, რომელმაც უნდა განსაზღვროს ეს [ლიად დატოვებული] პირობა, არ განსაზღვრავს მას; ან
- (გ) მესამე პირი არ განსაზღვრავს ამ [ლიად დატოვებულ] პირობას, იმ პირობით, რომ არსებობს ალტერნატიული საშუალებები, რომელიც არსებული გარემოებების პირობებში გონივრულია აღნიშნულის განმარტებისას მხარეთა განზრახვის გათვალისწინებით.

მუხლი 2.1.15

*(მოლაპარაკებები კეთილსინდისიერების პრინციპის დაუცველად
[არაკეთილსინდისიერად])*

- (1) მხარე უფლებამოსილია თავისუფლად მიიღოს მოლაპარაკებებში მონაწილეობა და არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევისთვის თუკი ვერ მოხდება შეთანხმების მიღწევა.
- (2) თუმცა, მხარე, რომელიც მოლაპარაკების პროცესშია ან მოლაპარაკებებს შეწყვეტს არაკეთილსინდისიერად, პასუხისმგებელია ზიანისთვის, რომელიც მეორე მხარეს მიადგა.
- (3) არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა, კერძოდ, როდესაც მხარე იწყებს ან აგრძელებს მოლაპარაკებებს, ისეთ დროს, როდესაც არ გააჩნია მეორე მხარესთან შეთანხმების მიღწევის განზრახვა.

მუხლი 2.1.16

(კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება)

როდესაც, მოლაპარაკებების პერიოდში ერთი მხარე გასცემს კონფიდენციალურ ინფორმაციას, მეორე მხარე ვალდებულია არ გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია ან არ გამოიყენოს იგი შეუსაბამოდ საკუთარი მიზნებისთვის, თავისი პირადი მიზნებისთვის, იმისდა მიუხედავად შემდგომში ხელშეკრულება დაიდება თუ არა. მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული დარღვევისას მეორადი მოთხოვნა შეიძლება ითვალისწინებდეს კომპენსაციას იმის გათვალისწინებით, თუ რა სარგებელი მიიღო მეორე მხარემ ამ ინფორმაციის გამჟღავნებით.

მუხლი 2.1.17

(გამაერთიანებელი დათქმები)

წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს დაქმას, რომ ეს წერილობითი დოკუმენტი მთლიანად მოიცავს იმ პირობებს, რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ, არ შეიძლება შეცვილებული ან შევსებული იქნეს წინა გამონათქვამების ან შეთანხმებების მტკიცებულებით. თუმცა, ასეთი გამონათქვამები ან

UNIDROIT PRINCIPLES

შეთანხმებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ წერილობითი პირობების განმარტებისთვის.

მუხლი 2.1.18

(ცვლილება გარკვეული ფორმით)

წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს დათქმას, რომ ნებისმიერი ცვლილება ან შეთანხმებით შეწყვეტა უნდა განხორციელდეს გარკვეული განსაზღვრული ფორმით, არ შეიძლება სხვაგვარად შეიცვალოს ან შეწყდეს, გარდა აღნიშნული განსაზღვრული ფორმისა. თუმცა, მხარეს, მისი ქმედების გამო შეიძლება აღარ მიეცეს აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობის უფლება, თუკი მეორე მხარე გონივრულად მოქმედებდა ამ ქმედებაზე დაყრდნობით.

მუხლი 2.1.19

(ხელშეკრულების დადება სტანდარტული პირობებით)

- (1) როდესაც ერთი ან ორივე მხარე იყენებს სტანდარტულ პირობას ხელშეკრულების დადებისას, მოქმედებს ხელშეკრულების დადების ზოგადი წესები, 2.1.20 - 2.1.22. მუხლების გათვალისწინებით.
- (2) სტანდარტული პირობები წარმოადგენენ ნორმებს, რომლებიც მომზადდნენ წინასწარ, ზოგადი და მრავალჯერადი გამოყენებისთვის, ერთი მხარის მიერ და რომლებიც, რეალურად გამოიყენება მეორე მხარესთან მოლაპარაკებების გარეშე.

მუხლი 2.1.20

(მოულოდნელი [განმაცვიფრებელი/გამაკვირვებელი] პირობები)

- (1) პირობას, რომელიც სტანდარტული პირობების ნაწილია და არის ისეთი ხასიათის, რომლის თაობაზეც მეორე მხარეს გონივრულად ვერ ექნებოდა მოლოდინი, არ აქვს ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მხარე აშკარად ეთანხმება ამ პირობას.
- (2) იმის განსაზღვრისას, პირობა არის თუ არა ასეთი ხასიათის, ყურადღება უნდა მიექცეს მის შინაარსს, ენასა და წარდგენას.

მუხლი 2.1.21

(სტანდარტულ და არასტანდარტულ პირობებს შორის შეუსაბამობა/კოლიზია)

სტანდარტული და არასტანდარტული პირობების შეუსაბამობისას/კოლიზიისას, უპირატესობა არასტანდარტულ პირობებს ენიჭება.

მუხლი 2.1.22

(ფორმათა ჭიდილი/კონკურენცია)

UNIDROIT PRINCIPLES

როდესაც ორივე მხარე იყენებს სტანდარტულ პირობებს და ისინი მიაღწევენ შეთანხმებას, გარდა ამ პირობებზე შეთანხმების მიღწევისა, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება შეთანხმებული პირობებისა და ნებისმიერი სტანდარტული პირობების საფუძველზე, რომელიც არსობრივად ერთგვაროვანია, თუკი ერთი მხარე გარკვევით წინასწარ, ან მოგვიანებით გაუმართლებელი [შეუსაბამო] დაყოვნების გარეშე არ მიაწოდებს მეორე მხარეს ინფორმაციას, რომ მას არ სურს იყოს შებოჭილი ასეთი ხელშეკრულებით.

ნაწილი 2: წარმომადგენლების უფლებამოსილება

მუხლი 2.2.1

(რეგულირების სფერო)

- (1) ეს ნაწილი აწესრიგებს პირის („წარმომადგენლის“) უფლებამოსილებას საკუთარი ან წარმოდგენილი პირის („მარწმუნებლის“) სახელით დაამყაროს სამართლებრივი ურთიერთობა მესამე პირთან და სამართლებრივად შებოჭოს წარმოდგენილი პირი მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საშუალებით.
- (2) ეს ნაწილი აწესრიგებს ურთიერთობებს ერთი მხრივ, მხოლოდ წარმომადგენელსა ან წამოდგენილ პირსა („მარწმუნებელს“), ხოლო, მეორე მხრივ, მესამე პირს შორის.
- (3) ეს ნაწილი არ აწესრიგებს კანონისმიერი გზით დადგენილ წარმომადგენლობას ან საჯარო ან სასამართლო ხელისუფლების მიერ დანიშნული წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

მუხლი 2.2.2

(წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მინიჭება და მისი ფარგლები)

- (1) წარმოდგენილი პირის (მარწმუნებლის) მიერ წარმომადგენლისთვის მინიჭებული უფლებამოსილება შეიძლება პირდაპირ იყოს დადგენილი ან გამომდინარეობდეს გარემოებებიდან.
- (2) კონკრეტულ ვითარებაში წარმომადგენელი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება იმ მიზნის მისაღწევად, რომელისთვისაც მას წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 2.2.3

(ღია წარმომადგენლობა)

- (1) თუ წარმომადგენელი მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და მესამე პირმა იცის ან უნდა სცოდნოდა, რომ იგი მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი, მაშინ წარმომადგენლის მოქმედებები პირდაპირ გავლენას ახდენს წარმოდგენილი და მესამე პირის ურთიერთობაზე ისე, რომ წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშობა.
- (2) ამასთან, წარმომადგენლის მოქმედებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელი, წარმოდგენილი პირის (მარწმუნებლის) თანხმობით, ხელშეკრულების მხარე გახდება.

მუხლი 2.2.4

(დაფარული წარმომადგენლობა)

- (1) თუ წარმომადგენელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს და მესამე პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ იგი მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი, მაშინ წარმომადგენლის მოქმედებები პირდაპირ გავლენას მხოლოდ წარმომადგენლისა და მესამე პირის ურთიერთობაზე მოახდენს.
- (2) ამასთან, წარმომადგენელი, რომელიც საწარმოს სახელით მოქმედებისას დებს ხელშეკრულებას მესამე პირთან, წამოადგენს საკუთარ თავს როგორც საწარმოს მესაკუთრეს, მესამე პირი საწარმოს ნამდვილი მესაკუთრის აღმოჩენისთანავე უფლებამოსილია ნამდვილი მესაკუთრის მიმართ გამოიყენოს იგივე უფლებები რაც მას წარმომადგენლის მიმართ გააჩნია.

მუხლი 2.2.5

(წარმომადგენლის მოქმედება უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებისას)

- (1) თუ წარმომადგენელი უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედებს, ასეთი მოქმედება მესამე პირსა და წარმოდგენილ პირს შორის ურთიერთობაზე გავლენას არ მოახდენს.

UNIDROIT PRINCIPLES

- (2) ამასთან, თუ წარმოდგენილი პირის მიზეზით, მესამე პირს გონივრულად სჯერა, რომ წარმომადგენელს აქვს უფლებამოსილება იმოქმედოს წარმოდგენილი პირის სახელითა და შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოდგენილი პირი მესამე პირის წინააღმდეგ ვერ დაეყრდნობა წარმოდგენილი პირის უფლებამოსილების არქონას.

მუხლი 2.2.6

(წარმომადგენლის პასუხისმგებლობა უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედებისას)

- (1) წარმომადგენელი, რომელიც წარმოდგენილი პირის მიერ წარმომადგენლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შეუსრულებლობის გამო მოქმედებს უფლებამოსილების არარსებობისას ან უფლებამოსილების გადამეტებით, მესამე პირის მიერ განცდილი ზიანისათვის პასუხისმგებელია იმგვარად, როგორც ნადვილი წარმომადგენლობის ან უფლებამოსილების გადაუმეტებლობისას.
- (2) ამასთან, წარმომადგენელი არ იქნება პასუხისმგებელი, თუ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ წარმომადგენელი მოქმედებდა უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით.

მუხლი 2.2.7

(ინტერესთა კონფლიქტი)

- (1) თუ წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულებაში წარმომადგენელს ინტერესთა კონფლიქტი აქვს წარმოდგენილ პირთან და აღნიშნულის შესახებ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, მაშინ წარმოდგენილ პირს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებიდან გასვლისას [ხელშეკრულებაზე უარისას] გამოიყენება 3.2.9. და 3.2.11-დან 3.2.15-მდე მუხლები.
- (2) ამასთან, წარმოდგენილ პირს არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება:
- (ა) თუ წარმოდგენილი პირი დაეთანხმა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ წარმომადგენელი იმყოფებოდა ინტერესთა კონფლიქტში; ან
- (ბ) თუ წარმომადგენელმა აცნობა წარმოდგენილ პირს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და ამ უკანასკნელს გონივრული ვადის განმავლობაში აღნიშნულის თაობაზე არ გამოუთქვამს პრეტენზია.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 2.2.8

(ქვე-წარმომადგენლობა)

იმ მოქმედებების შესასრულებლად, რომელთა შესახებაც არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ თავად წარმომადგენელი არ შეასრულებს, წარმომადგენელს აქვს ქვე-წარმომადგენლის დანიშვნის ნაგულისხმევი უფლება. ამ ნაწილით დადგენილი წესები გამოიყენება ქვე-წარმომადგენლობისათვის.

მუხლი 2.2.9

(მოწონება)

- (1) უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებით მოქმედი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია მოწონებული იქნას წარმოდგენილი პირის მიერ. მოწონების შემდეგ აღნიშნული ქმედება წარმოშობს იმავე შედეგს, რომელიც წარმომადგენლის მიერ თავიდანვე ნამდვილი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების შედეგად დადგებოდა.
- (2) მესამე პირმა შესაძლებელია წარმოდგენილ პირს შეატყობინებინოს მოწონებისათვის გონივრული ვადა განუსაზღვროს. თუ წარმოდგენილი პირი ამ დროის განმავლობაში არ მოიწონებს წარმომადგენლის ქმედებას, ვადა აღარ გაგრძელდება და მოწონების განხორციელება ვეღარ მოხდება.
- (3) თუ წარმომადგენლის მიერ მოქმედების განხორციელებისას მესამე პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა წარმომადგენლობის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, მას შეუძლია წარმოდგენილი პირის მიერ მოწონებამდე ამ უკანასკნელს ნებისმიერ დროს შეატყობინოს მის მიერ მოწონებით შებოჭვაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 2.2.10

(უფლებამოსილების შეწყვეტა)

UNIDROIT PRINCIPLES

- (1) წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მესამე პირთან ურთიერთობაში არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
- (2) მიუხედავად უფლებამოსილების შეწყვეტისა, წარმომადგენელი ვალდებულია შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება, რათა თავიდან აიცილოს წარმოდგენილი პირის ინტერესების შელახვა.

თავი 3 - იურიდიული ძალა

ნაწილი 1: ზოგადი დებულებები

მუხლი 3.1.1

(მოუწესრიგებელი საკითხები)

ეს თავი ქმედუნარიანობის ნაკლის საკითხებს არ აწესრიგებს.

მუხლი 3.1.2

(ხელშეკრულების ნამდვილობა)

ხელშეკრულების დადება, შეცვლა ან შეწყვეტა ხდება მხოლოდ მხარეთა ნამდვილი შეთანხმებით და არა რაიმე სხვა დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 3.1.3

(თავდაპირველი შეუძლებლობა)

- (1) მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში შეუძლებელი იყო მასში გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ხელშეკრულების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.
- (2) მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ხელშეკრულების მხარე არ იყო უფლებამოსილი განეკარგა ის ქონება,

UNIDROIT PRINCIPLES

რომელსაც ხელშეკრულება ეხება, ხელშეკრულების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.

მუხლი 3.1.4

(ნორმათა იმპერატიული ხასიათი)

ამ თავით გათვალისწინებული ნორმები მოტყუების, მუქარის, უხეში უთანსწორობისა და უკანონობის შესახებ სავალდებულო ძალის მქონეა [იმპერატიული ხასიათის არის].

ნაწილი 2: ხელშეკრულებიდან გასვლის [ხელშეკრულებაზე უარის თქმის]

საფუძვლები

მუხლი 3.2.1

(შეცდომის დეფინიცია)

შეცდომა არის ხელშეკრულების დადების მომენტში არსებულ ფაქტებთან ან სამართალთან დაკავშირებული მცდარი ვარაუდი.

მუხლი 3.2.2

(არსებითი შეცდომა)

(1) მხარეს შეუძლია შეცდომის საფუძველზე გავიდეს ხელშეკრულებიდან იმ შემთხვევაში, თუ მისი დადებისას შეცდომა იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ანალოგიურ პირობებში ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი, როგორც ხელშეკრულების მხარე, ასეთი შეცდომის არსებობისას ხელშეკრულებას დადებდა არსებითად განსხვავებული პირობებით ან უარს იტყოდა ხელშეკრულების დადებაზე, თუ ექნებოდა ინფორმაცია რეალური ვითარების შესახებ და

(ა) მეორე მხარემ დაუშვა ან გამოიწვია მსგავსი შეცდომა, ან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ შეცდომის შესახებ და შეცდომაში შეყვანილი მხარის შეცდომაში დატოვება სამართლიანი ურთიერთობის გონივრულ სავაჭრო სტანდარტს ეწინააღმდეგებოდა; ან

(ბ) მეორე მხარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის მომენტისათვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არაგონივრულად მოქმედებდა ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.

(2) ამასთან, მხარე ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ:

(ა) იგი უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა როდესაც შეცდომას უშვებდა; ან

UNIDROIT PRINCIPLES

(ბ) შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შეცდომა დაკავშირებულია შეცდომის დაშვების რისკთან მიმართებულ საკითხზე, ან გარემოებათა გათვალისწინებით წარმოშობილია შეცდომაში შეყვანილი მხარის მიერ.

მუხლი 3.2.3

(შეცდომა გამოხატვასა და გადაცემაში)

შეცდომა, რომელიც განცხადების გამოხატვის ან გადაცემისას წარმოიშობა, მიიჩნევა იმ პირის შეცდომად, რომლისგანაც განცხადება მომდინარეობს.

მუხლი 3.2.4

(მეორადი მოთხოვნები შეუსრულებლობისათვის)

მხარე არ არის უფლებამოსილი გავიდეს ხელშეკრულებიდან შეცდომის საფუძვლით, თუ გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც იგი მოქმედებდა იძლეოდა საშუალებას, ან შეიძლება მოეცა შეუსრულებლობისთვის მეორადი მოთხოვნის გამოყენების საშუალება.

მუხლი 3.2.5

(მოტყუება)

მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ ხელშეკრულება დაიდო მეორე მხარის გამოხატული მოტყუებით, მათ შორის, ენითა და პრაქტიკით ან მოტყუებითი დაფარვით ვითარებისა, რომელიც სამართლიანი ურთიერთობის სავაჭრო სტანდარტის თანახმად, ამ უკანასკნელ მხარეს უნდა გაემხილა.

მუხლი 3.2.6

(მუქარა)

მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ ხელშეკრულება დაიდო მეორე მხარის გაუმართლებელი მუქარით, რომელიც, გარემოებების გათვალისწინებით, იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ მხარეს არ ჰქონდა მისაღები ალტერნატივა. კერძოდ, მუქარა გაუმართლებელია, თუ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მხარის მიმართ იყო გამოყენებული, თავისთავად უკანონო ან მხრესთან ხელშეკრულების დადების მიღწევის საშუალებად მისი გამოყენება მიიჩნევა უკანონოდ.

მუხლი 3.2.7

(უხეში უთანასწორობა - კაბალური პირობები)

UNIDROIT PRINCIPLES

- (1) მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან ან უარი თქვას მის კონკრეტულ ნაწილზე, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში ხელშეკრულება ან მისი ნაწილი გაუმართლებლად ანიჭებს მეორე მხარეს შეუსაბამოდ მაღალ უპირატესობას. სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - (ა) ის ფაქტი, რომ მეორე მხარე გაუმართლებელ უპირატესობას იღებს პირველი მხარის მასზე დამოკიდებულების, ეკონომიკური უსახსრობის ან გადაუდებელი საჭიროებით ან მისი წინდაუხედაობის, არაინფორმირებულობის, გამოუცდელობისა და მოლაპარაკებების წარმართვისათვის სათანადო უნარის უქონლობით და
 - (ბ) ხელშეკრულების ბუნებითა და მიზნით.
- (2) ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია ხელშეკრულება ან მისი ნაწილი მიუსადაგოს და შეუსაბამოს იგი გონივრული სამართლიანი სავაჭრო ურთიერთობის სტანდარტს.
- (3) სასამართლოს ასევე შეუძლია ხელშეკრულება ან მისი ნაწილი მიუსადაგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს იმ მხარის მოთხოვნით, რომელმაც მიიღო შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მხარე დაუყოვნებლივ ატყობინებს მეორე მხარეს მის მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ და მანამამდე, სანამ მეორე მხარე აღნიშნულ შეტყობინებაზე გონივრული დაყრდნობით განახორციელებს გარკვეულ ქმედებას. 3.2.10(2) მუხლი გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 3.2.8

(მესამე პირები)

- (1) თუ მოტყუება, მუქარა, უხეში უთანსწორობა ან [პირველი] მხარის შეცდომა დაკავშირებულია მესამე პირთან ან ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მესამე პირისათვის, რომლის მოქმედებებისთვისაც მეორე მხარეა პასუხისმგებელი, ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია პირველი მხარისთვის იმავე პირობების დაცვით, თითქოსდა ეს მოქმედებები თავად მეორე მხარის მიერ განხორციელდა ან იცოდა მან მათ შესახებ.
- (2) თუ მოტყუება, მუქარა, უხეში უთანსწორობა ან მხარის შეცდომა ეკუთვნის ან ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო მესამე პირისათვის, რომლის მოქმედებებისთვისაც მეორე მხარე არ არის პასუხისმგებელი, ხელშეკრულებიდან გასვლა პირველი მხარისთვის შესაძლებელია, თუ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების, მუქარის ან უხეში უთანსწორობის შესახებ ან ხელშეკრულებაზე უარის თქმის მომენტში არ მოქმედებდა ხელშეკრულებაზე გონივრული დაყრდნობით.

მუხლი 3.2.9

(დადასტურება)

UNIDROIT PRINCIPLES

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე მხარე მისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინებისთვის განკუთვნილი ვადის დენის დაწყების შემდეგ პირდაპირ [აშკარად] ან არაპირდაპირ [კონკლუდენტურად] დაადასტურებს ხელშეკრულების არსებობას, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გამოირიცხება.

მუხლი 3.2.10

(ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დაკარგვა)

- (1) თუ მხარეს შეცდომის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აქვს, ხოლო მეორე მხარე განაცხადებს ხელშეკრულების შესრულების სურვილს ან ასრულებს ხელშეკრულებას ისე, როგორც ეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე მხარემ გაიგო, მაშინ მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება დაიდო იმ პირობებით, როგორც ამ უკანასკნელმა მხარემ [ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე მხარემ] გაიგო. მეორე მხარემ შესრულების შესახებ განაცხადება უნდა გააკეთოს ან ხელშეკრულება უნდა შეასრულოს დაუყოვნებლივ, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირის მიერ ხელშეკრულების პირობების აღქმის ფორმის შეტყობის შემდეგ და ამ მხარის [ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე მხარის] მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინების უფლებაზე დაყრდნობით გონივრულად იმოქმედებს.
- (2) ასეთი განაცხადების ან ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღარ არსებობს და ნებისმიერი ადრინდელი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება იურიდიული ძალის არმქონეა.

მუხლი 3.2.11

(ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება)

ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი მხარე ამ უფლებას მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით ახორციელებს.

მუხლი 3.2.12

(ვადები)

- (1) ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინება, გარემოებების გათვალისწინებით, მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე მხარისთვის ცნობილი გახდა ან არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა არსებითი ფაქტების შესახებ ან ჰქონოდა თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა;

UNIDROIT PRINCIPLES

(2) თუ, 3.2.7 მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულების კონკრეტულ ნაწილზე, მასზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებისათვის განსაზღვრული ვადის დენა მეორე მხარის მიერ ამ ნაწილის გაცხადებიდან დაიწყება.

მუხლი 3.2.13

(ხელშეკრულების ნაწილიდან გასვლა [ხელშეკრულების ნაწილზე უარის თქმა])

თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ ხელშეკრულების ერთ ნაწილს შეეხება, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ამ ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გარემოებების გათვალისწინებით, ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილით დადება არაგონივრულია.

მუხლი 3.2.14

(ხელშეკრულებიდან გასვლის [უარის თქმის] უკუძალა)

ხელშეკრულებაზე უარის თქმას უკუძალა გააჩნია.

მუხლი 3.2.15

(რესტიტუცია)

- (1) ხელშეკრულებაზე უარის თქმისას ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ ხელშეკრულების ან ხელშეკრულების იმ ნაწილის შესაბამისად, რომელზეც უარის თქმა მოხდა, მიწოდებული შესრულების რესტიტუცია [უკან დაბრუნება] იმ პირობით, რომ ეს მხარე თავადაც პარალელურად დააბრუნებს იმას, რაც მან მიიღო ხელშეკრულების ან ხელშეკრულების იმ ნაწილის შესაბამისად, რომელზეც უარის თქმა მოხდა.
- (2) თუ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, მაშინ შესაძლებელია ნებადართული იყოს ფულადი ანაზღაურება მისი გონივრულობის შემთხვევაში.
- (3) შესრულების მიმღები არ არის ვალდებული განახორციელოს ფულადი რესტიტუცია, თუ ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა მეორე მხარის გამო არის გამოწვეული.
- (4) შესაძლებელია კომპენსაცია მოთხოვნილ იქნას მიღებული შესრულების შენახვისა და შენარჩუნების მიზნით გონივრულად გაწეული ხარჯისათვის.

მუხლი 3.2.16

(ზიანის ანაზღაურება)

მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმა, მხარე, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლის

UNIDROIT PRINCIPLES

არსებობის შესახებ, ვალდებულია იმ თანხის ანაზღაურებაზე, რომლის გადახდაც უზრუნველყოფს მეორე მხარის იმ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელშიც მეორე მხარე იქნებოდა, რომ არ დაედო ხელშეკრულება.

მუხლი 3.2.17

(ცალმხრივი განცხადებები)

ამ თავის დებულებები, შესაბამისი მისადაგებებით, გამოიყენება ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენილ ნებაზე.

ნაწილი 3: არამართლობიერება [უკანონობა]

მუხლი 3.3.1

(ხელშეკრულებები, რომლებიც არღვევს იმპერატიულ ნორმებს)

- (1) როდესაც ხელშეკრულება არღვევს იმპერატიულ ნორმას, რომელიც არის სახელმწიფო, საერთაშორისო თუ სუპრანაციონალური წარმოშობის, ამ პრინციპების 1.4 მუხლის მიხედვით, ამ დარღვევის შედეგები ხელშეკრულებაზე, თუკი არსებობს ასეთი, განისაზღვრება აღნიშნული იმპერატიული წესის მიხედვით.
- (2) როდესაც სავალდებულო წესით პირდაპირ არ არის განსაზღვრული მათი დარღვევის შედეგები, რომლებიც აისახება ხელშეკრულებაზე, მხარეებს უფლება აქვთ გარემოებათა გონივრული გათვალისწინებით გამოიყენონ დაცვის ის საშუალებები [მეორადი მოთხოვნები], რომლებიც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული და რომელთა გამოყენებაც გონივრული არის.
- (3) იმის განსაზღვრისას, თუ რა მიიჩნევა გონივრულად, უნდა დადგინდეს:
 - (ა) იმ წესის მიზანი, რომელიც დაირღვა;
 - (ბ) იმ პირთა წრე [კატეგორია], რომელთა დასაცავადაც არსებობს ეს წესი;
 - (გ) ნებისმიერი სანქცია, რაც შეიძლება დაწესდეს დარღვეული წესის მიხედვით;
 - (დ) დარღვევის სერიოზულობა;
 - (ე) ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ იცოდა თუ არა, ან უნდა სცოდნოდა თუ არა დარღვევის შესახებ;
 - (ვ) კონტრაქტის შესრულება აუცილებლად საჭიროებს თუ არა დარღვევას; და
 - (ზ) მხარეთა გონივრული მოლოდინები.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 3.3.2

(რესტიტუცია)

- (1) როდესაც სახეზეა ხელშეკრულების შესაბამისი შესრულება, რომელიც არღვევს იმპერატიულ ნორმას 3.3.1 მუხლის თანახმად, რესტიტუცია შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გონივრულია გარემოებების მიხედვით.
- (2) გონივრულობის განსაზღვრისას, შესაბამისი მისადაგების გზით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია 3.3.1 (3) მუხლით.
- (3) თუ რესტიტუცია ხდება, ის წესები, რომლებიც განსაზღვრულია 3.2.15 მუხლით გამოიყენება შესაბამისი მისადაგების გზით.

თავი 4 - განმარტება [ინტერპრეტაცია]

მუხლი 4.1

(მხარეთა განზრახვა)

- (1) ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო განზრახვის შესაბამისად.
- (2) თუკი ვერ დგინდება მხარეთა საერთო განზრახვა, მაშინ ხელშეკრულება განიმარტება იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას მიანიჭებდნენ მას იმავე მდგომარეობაში მყოფი გონივრული განსჯის უნარის მქონე ადამიანები.

მუხლი 4.2.

(განცხადებებისა და სხვაგვარი ქმედების განმარტება)

- (1) მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები და სხვაგვარი ქმედება განიმარტება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, რას წარმოადგენდა შესაბამისი განზრახვა.
- (2) თუ ამ მუხლის წინა ნაწილი არ გამოიყენება, მაშინ მხარის მიერ გაკეთებული განცხადება და სხვაგვარი ქმედება უნდა განიმარტოს იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას მიანიჭებდა მას იმავე მდგომარეობაში მყოფი გონივრული განსჯის უნარის მქონე ადამიანი.

მუხლი 4.3

UNIDROIT PRINCIPLES

(მნიშვნელოვანი გარემოებები)

4.1 და 4.2 მუხლების გამოყენებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ყველა გარემოება, რომელიც მათ შორის მოიცავს:

- (ა) მხარეთა შორის წინასწარი მოლაპარაკებები;
- (ბ) მხარეთა შორის ჩამოყალიბებული პრაქტიკა;
- (გ) ხელშეკრულების დადების შემდგომი ქმედება;
- (დ) ხელშეკრულების ბუნება და მიზანი;
- (ე) ვაჭრობაში ტერმინთა და გამოთქმათა საყოველთაოდ მიღებული განმარტება;
- (ვ) ჩვეულებანი.

მუხლი 4.4.

(მითითებები ხელშეკრულებაზე ან განცხადებებზე)

ხელშეკრულებასა და განცხადებებში გამოყენებული ტერმინები და გამონათქვამები უნდა განიმარტოს მთლიანი ხელშეკრულების ან იმ განცხადების შესაბამისად [კონტექსტში], რომელშიც ისინი გვხვდება.

მუხლი 4.5

(ყველა პირობისთვის/ტერმინებისთვის მნიშვნელობის მინიჭება)

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებისა და მასში განსაზღვრული პირობების განმარტებისას, ყველა მათგანს უნდა მიეცეს მნიშვნელობა და არ უნდა მოხდეს ზოგიერთისთვის მნიშვნელობის წართმევა.

მუხლი 4.6

(განმარტება ხელშეკრულების შემდგენის წინააღმდეგ)

UNIDROIT PRINCIPLES

თუ ერთი მხარის მიერ განსაზღვრული სახელშეკრულებო პირობები ბუნდოვანია, მაშინ ისინი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

მუხლი 4.7

(ენობრივი შეუსაბამობები)

როდესაც ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი მნიშვნელობის მქონე ორ ან მეტ ენაზე, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, განმარტებისას უპირატესობა ენიჭება იმ ვერსიას, რომელზეც ხელშეკრულება თავდაპირველად იქნა შედგენილი.

მუხლი 4.8

(გამოტოვებული პირობის შევსება)

- (1) როდესაც ხელშეკრულების მხარეები არ შეთანხმებულან ისეთ პირობაზე, რომელიც მათი უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად აუცილებელია, მიღებულ უნდა იქნეს გარემოებებისადმი შესაფერისი პირობა.
- (2) შესაფერისი პირობის დასადგენად, სხვა ფაქტორებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა:
 - (ა) მხარეთა განზრახვა;
 - (ბ) ხელშეკრულების ბუნება და მიზანი;
 - (გ) კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანობის [გულისხმობის] პრინციპი;
 - (დ) გონივრულობა.

თავი 5 - შინაარსი და მესამე პირთა უფლებები

ნაწილი 1: შინაარსი

მუხლი 5.1.1

UNIDROIT PRINCIPLES

(ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ნაგულისხმევი ვალდებულებები)

მხარეთა ვალდებულებები შეიძლება იყოს ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან ნაგულისხმევი.

მუხლი 5.1.2

(ნაგულისხმევი ვალდებულებები)

ნაგულისხმევი ვალდებულებების წარმოშობის წყაროებია:

- (ა) ხელშეკრულების ბუნება და მიზანი;
- (ბ) მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკა და ჩვეულებები;
- (გ) კეთილსინდისიერების და პატიოსანი საქმიანობის პრინციპი [გულისხმეობის პრინციპი];
- (დ) გონივრულობა,

მუხლი 5.1.3

(თანამშრომლობა მხარეებს შორის)

ყოველმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს მეორე მხარესთან, თუ ასეთი თანამშრომლობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია იმისთვის, რომ შესრულდეს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულება.

მუხლი 5.1.4

(კონკრეტული შედეგის მიღწევის ვალდებულება. მაქსიმალური ძალისხმევის ვალდებულება)

- (1) თუ მხარის ვალდებულება მოიცავს კონკრეტული შედეგის მიღწევის მოვალეობას, ეს მხარე შეზოჭილია [ვალდებულია] რათა მიაღწიოს აღნიშნულ შედეგს.

UNIDROIT PRINCIPLES

(2) თუ მხარის ვალდებულება ქმედების განხორციელებისას მოიცავს მაქსიმალური ძალისხმევის მოვალეობას, მხარე ვალდებულია იმოქმედოს იმ ძალისხმევით, რა ძალისხმევითაც იმოქმედებდა სხვა ნებისმიერი გონიერი ადამიანი მსგავს გარემოებებში.

მუხლი 5.1.5

(ვალდებულების სახის განსაზღვრა)

ვალდებულების სახის განსაზღვრისთვის, კერძოდ, ვალდებულების საზღვრები მოიცავს კონკრეტული შედეგის მიღწევის მოვალეობას თუ მაქსიმალური ძალისხმევის მოვალეობას, სხვა ფაქტორებთან ერთად საყურადღებოა შემდეგი გარემოებები:

(ა) რა ფორმით არის ვალდებულება განსაზღვრული ხელშეკრულებაში;

(ბ) ფასი და სხვა პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით;

(გ) რისკის ის დონე, რომელიც როგორც წესი საჭიროა მოსალოდნელი შედეგის მიღწევისთვის;

(დ) მეორე მხარის უფლება, ზემოქმედება მოახდინოს ვალდებულების შესრულებაზე.

მუხლი 5.1.6

(ვალდებულების შესრულების ხარისხის განსაზღვრა)

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ხარისხი არ არის ფიქსირებული ან ხელშეკრულებით განსაზღვრადი, მხარემ ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს იმ ხარისხით, რომელიც არ არის საშუალოზე ნაკლები და გონივრულია მოცემულ გარემოებებში.

მუხლი 5.1.7

(ფასის განსაზღვრა)

(1) თუ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის ფიქსირებული ფასი, ან მისი განსაზღვრის წესი, მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ საფასური იმ საბაზრო ფასის მიხედვით, რომელიც ზოგადად არსებობდა მოცემულის მსგავსი

UNIDROIT PRINCIPLES

ვალდებულების შესრულებისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში, თუ არ არსებობს საწინააღმდეგოზე მითითება. თუ ასეთი ფასი არ არსებობს, მაშინ გონივრულობის ფარგლებში უნდა დადგინდეს ფასი.

- (2) თუ საფასურს მხოლოდ ერთი მხარე ადგენს და ის შეუსაბამოდ მაღალია, საფასური ჩანაცვლდება გონივრულად დადგენილი ფასით, იმის მიუხედავად წინააღმდეგება თუ არა ეს ხელშეკრულების რომელიმე პირობას.
- (3) თუ მხარე მესამე პირის მიერ უნდა დადგინდეს და ის ვერ ახერხებს ან არ ადგენს მას, ფასი უნდა იყოს გონივრული შესაბამისი ვალდებულებისთვის.
- (4) თუ ფასის დადგენა დამოკიდებული იყო იმ მოვლენებზე, რომლებიც არ არსებობს, აღარ არსებობს ან აღარაა ხელმისაწვდომი, მაშინ აღნიშნული მოვლენა ჩანაცვლდება მისი ყველაზე მსგავსი და უახლოესი ფაქტორით [მოვლენით].

მუხლი 5.1.8

(განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა)

თუ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, ის შეიძლება შეწყდეს მხარის მიერ შეტყობინების საფუძველზე, რომელიც უნდა განხორციელდეს წინასწარ, გონივრული ვადით ადრე. რაც შეეხება შეწყვეტის ზოგად შედეგებს და რესტიტუციას, გამოიყენება 7.3.5 და 7.3.7 მუხლებით გათვალისწინებული წესები.

მუხლი 5.1.9

(მოვალის გათავისუფლება ვალდებულებებისგან შეთანხმებით)

- (1) კრედიტორს აქვს უფლება გაათავისუფლოს მოვალე ვალდებულებებისგან შეთანხმების საფუძველზე;
- (2) კრედიტორის ოფერტი ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესახებ ჩაითვლება მიღებულად [აქცეპტირებულად], თუ მოვალე დაგვიანების გარეშე არ უარყოფს [გააუქმებს] ოფერტს მისი გაცნობის შემდეგ.

UNIDROIT PRINCIPLES

ნაწილი 2: მესამე პირთა უფლებები

მუხლი 5.2.1

(მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები)

- (1) მხარეებმა (მოვალემ და კრედიტორმა) შესაძლებელია მიანიჭონ უფლება მესამე პირს (ბენეფიციარს) ნაგულისხმევი ან აშკარად გამოხატული შეთანხმების საფუძველზე.
- (2) მოვალის წინაშე ბენეფიციარის უფლების არსებობა და შინაარსი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ექვემდებარება ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ არსებით პირობებსა და შეზღუდვებს.

მუხლი 5.2.2

(მესამე პირის იდენტიფიცირებადობა)

ბენეფიციარის იდენტიფიცირება უნდა ხდებოდეს ხელშეკრულებიდან ადექვატური სიცხადით, მაგრამ მისი არსებობა არ არის საჭირო ხელშეკრულების დადების დროს.

მუხლი 5.2.3

(გამომრიცხავი და შემზღუდავი დებულებები)

ბენეფიციარისთვის უფლებათა მინიჭება მოიცავს უფლებას, რათა მითითება გაკეთდეს ხელშეკრულების იმ დებულებაზე, რომელიც გამომრიცხავს ან ზღუდავს ბენეფიციარის პასუხისმგებლობას.

მუხლი 5.2.4

(დაცვის საშუალებები [პრეტენზიების წაყენება])

მოვალეს შეუძლია ბენეფიციარის წინააღმდეგ დააყენოს ყველა ის პრეტენზია, რომელიც მოვალეს შეეძლო დაეყენებინა კრედიტორის წინაშე.

მუხლი 5.2.5

(უფლების გამოხმობა)

მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ უფლებები, რომელიც ბენეფიციარს ხელშეკრულების მიხედვით მიენიჭა, მანამ სანამ ბენეფიციარი განაცხადებს მათზე

UNIDROIT PRINCIPLES

თანხმობას ან გონივრული ფორმით განახორციელებს ქმედებას იმაზე დაყრდნობით, რომ ასეთი უფლება არსებობს.

მუხლი 5.2.6

(უარი უფლებაზე)

ბენეფიციარს შეუძლია უარი თქვას მინიჭებულ უფლებაზე.

ნაწილი 3: პირობები

მუხლი 5.3.1

(პირობის სახეები)

ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ვალდებულების ნამდვილობა შეიძლება მომავალი გაურკვეველი მოვლენის დადგომაზე იმგვარად იყოს დამოკიდებული, რომ ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ვალდებულება მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, თუ დადგება აღნიშნული მოვლენა (გადადების [შემაჩერებელი] პირობა), ან თუ აღნიშნული მოვლენა დადგება, მაშინ ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ვალდებულება გაუქმდება (გამაუქმებელი პირობა).

მუხლი 5.3.2

(პირობების შედეგი)

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან:

- (ა) შესაბამისი ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ვალდებულება ძალაში შედის გადადების (შემაჩერებელი) პირობის შესრულებისას;
- (ბ) შესაბამისი ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ვალდებულება უქმდება გამაუქმებელი პირობის შესრულებისას.

მუხლი 5.3.3

(პირობების შესრულებაზე ზემოქმედება [ჩარევა])

- (1) თუ პირობის შესრულებას ხელი შეუშალა მხარემ კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანობის პრინციპის დარღვევის გზით, ამ მხარეს არ აქვს უფლება დაეყრდნოს პირობების შეუსრულებლობას.
- (2) თუ პირობის შესრულებას ხელი შეუწყო მხარემ კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანობის პრინციპის დარღვევის გზით, ან თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევის გზით, ამ მხარეს არ აქვს უფლება დაეყრდნოს პირობების შესრულებას.

მუხლი 5.3.4

(უფლებების დაცვის ვალდებულება)

UNIDROIT PRINCIPLES

პირობის შესრულების მოლოდინში მხარემ კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანობის პრინციპის დარღვევის გზით არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ პირობის შესრულების შემთხვევაში შეილახოს სხვა მხარის უფლებები.

მუხლი 5.3.5

(რესტიტუცია გამაუქმებელი პირობის შესრულებისას [დადგომისას])

- (1) გამაუქმებელი პირობის შესრულებისას გამოიყენება 7.3.6 და 7.3.7 მუხლებში მოცემული წესები რესტიტუციის შესახებ, შესაბამისი მისადაგებით.
- (2) თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამაუქმებელმა პირობას უნდა გააჩნდეს უკუძალა, მაშინ გამოიყენება 3.2.15 მუხლში მოცემული რესტიტუციის წესები, შესაბამისი მისადაგებით.

თავი 6 - შესრულება

ნაწილი 1 : ზოგადი დებულებები შესრულების შესახებ

მუხლი 6.1.1

(ვალდებულების შესრულების დრო)

მხარემ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება:

- (ა) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრებად დროს;
- (ბ) ხელშეკრულებით ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პერიოდში ნებისმიერ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარემოებები მიუთითებენ რომ შესრულების დრო მეორე მხარემ უნდა აირჩიოს;
- (გ) ყველა სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში.

მუხლი 6.1.2

(ვალდებულების შესრულება ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ)

6.1.1 მუხლის (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ერთიანად თუკი ასეთი სახით შესრულება შესაძლებელია და გარემოებები სხვა რამეზე არ მიუთითებენ.

მუხლი 6.1.3

UNIDROIT PRINCIPLES

(ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება)

- (1) კრედიტორი უფლებამოსილია უარი თქვას ვადამოსული ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების შესახებ, მიუხედავად იმისა ახლავს თუ არა შეთავაზებას ვალდებულების სრულად შესრულების გარანტია, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კრედიტორს არ გააჩნია კანონიერი ინტერესი არ მიიღოს ამგვარი შესრულება;
- (2) დამატებითი ხარჯები, რომლებიც წარმოეშვა კრედიტორს ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებით უნდა ანაზღაუროს მოვალემ, კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების სხვა სახის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 6.1.4

(შესასრულებელი ვალდებულებების რიგითობა)

- (1) თუკი მხარეთა ვალდებულებანი შეიძლება შესრულდეს ერთდროულად, მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ისინი ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც საქმის გარემოებანი სხვაგვარად მიუთითებენ.
- (2) თუკი მხოლოდ ერთი მხარის ვალდებულების შესრულება საჭიროებს დროის გარკვეულ პერიოდს, ეს მხარე ვალდებულია პირველმა განახორციელოს შესრულება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გარემოებები სხვაგვარად მიუთითებენ.

მუხლი 6.1.5

(ვალდებულების შესრულება ვადამდე)

- (1) კრედიტორი უფლებამოსილია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მას არ აქვს უარის თქმის კანონიერი ინტერესი.
- (2) მხარის მიერ ვადამდე შესრულების მიღება გავლენას არ ახდენს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ვადაზე, მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულების მიუხედავად, თუკი ეს ვადა განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით.
- (3) დამატებითი ხარჯები, რომლებიც წარმოეშვა კრედიტორს ვალდებულების ვადამდე შესრულებით უნდა ანაზღაუროს მოვალემ, კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების სხვა სახის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 6.1.6

(ვალდებულების შესრულების ადგილი)

- (1) თუკი ვალდებულების შესრულების ადგილი არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული და არც განსაზღვრადია ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მაშინ მხარემ:
 - (ა) ფულადი ვალდებულება უნდა შეასრულოს კრედიტორის საქმიანობის ადგილას;
 - (ბ) სხვა ვალდებულებები მხარემ უნდა შეასრულოს თავისი საქმიანობის ადგილას.
- (2) მხარემ უნდა იკისროს იმ გაუთვალისწინებელი ხარჯების გადახდა, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდეგ მის მიერ საქმიანობის ადგილის ცვლილებით.

მუხლი 6.1.7

(გადახდა ჩვეთ ან სხვა საშუალებით)

- (1) გადახდა უნდა განხორციელდეს გადახდისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ნებისმიერი ფორმით, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო ურთიერთობებში.
- (2) ამასთან, თუკი კრედიტორი ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ან ნებაყოფლობით თანხმდება ჩვეის მიღებაზე, ივარაუდება რომ, ნებისმიერი სხვა გადახდა ან გადახდის დაპირება უნდა განხორციელდეს ამავე ფორმით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარე შეასრულებს ამ პირობას.

მუხლი 6.1.8

(გადახდა უნაღდო ანგარიშსწორებით)

- (1) გადახდა შეიძლება განხორციელდეს იმ საფინანსო ინსტიტუტში თანხის გადარიცხვით, რომელშიც კრედიტორს მისი განცხადებით აქვს ანგარიში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მიუთითებს განსაზღვრულ ანგარიშზე.
- (2) მოვალის ვალდებულება თანხის გადარიცხვისას შესრულებულად ჩაითვლება, როდესაც კრედიტორის საფინანსო ინსტიტუტში ჩაირიცხება თანხა.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 6.1.9

(ფულადი ვალდებულების გადახდის ვალუტა)

- (1) თუკი ფულადი ვალდებულება გამოხატულია გადახდის ადგილას მოქმედისგან განსხვავებულ ვალუტაში, იგი შეიძლება გადახდილ იქნას გადახდის ადგილას მოქმედ ვალუტაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც
 - (ა) აღნიშნული ფულის ერთეული არ არის თავისუფლად კონვერტირებადი; ან
 - (ბ) მხარეები შეთანხმდნენ რომ ფულადი ვალდებულების გადახდა უნდა განხორციელდეს მათ მიერ განსაზღვრულ ფულადი ვალდებულების ვალუტაში.
- (2) თუკი მოვალეს არ შეუძლია ფულადი ვალდებულების გადახდა იმ ვალუტაში, რომელშიც იგი გამოხატულია, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გადახდა გადახდის ადგილას მოქმედ ვალუტაში, მიუხედავად ამ მუხლის (1) (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- (3) გადახდა, გადახდის ადგილის ფულის ვალუტით, უნდა განხორციელდეს გადახდის ვადის დადგომის მომენტში მოქმედი ვალუტის მოქმედი კურსით.
- (4) ამასთან, თუკი მოვალე გადახდისათვის დადგენილ ვადაში არ შეასრულებს ფულად ვალდებულებას, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა ვალდებულებისათვის დადგენილ დროს ან ფაქტობრივი გადახდის დროს მოქმედი ვალუტის კურსით.

მუხლი 6.1.10

(ვალუტის განუსაზღვრელობა)

როდესაც ფულადი ვალდებულება არ არის გამოხატული განსაზღვრულ ვალუტაში, გადახდა უნდა განხორციელდეს იმ ფულადი ერთეულით რომელიც მოქმედებს ამ ვალდებულების შესრულების ადგილას.

მუხლი 6.1.11

(ვალდებულების შესრულების ხარჯები)

UNIDROIT PRINCIPLES

ყოველმა მხარემ უნდა გასწიოს ის ხარჯები, რომლებიც წარმოეშვა საკუთარი ვალდებულებების შესრულებისას.

მუხლი 6.1.12

(ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა)

- (1) თუ მოვალეს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ რამოდენიმე ფულადი ვალდებულების შესრულება ეკისრება, მას ვალის გადახდისას შეუძლია განსაზღვროს თუ რომელი ვალდებულების შესრულებას ემსახურება გადახდილი თანხა. თუმცა, გადახდილი თანხით უპირველესად იფარება შესასრულებელ ვალდებულებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემდგომ პროცენტი და საბოლოოდ ძირითადი ვალდებულება.
- (2) თუკი მოვალე არ აკეთებს ამგვარ განსაზღვრებას, კრედიტორი თავად განსაზღვრავს თუ რომელი ფულადი ვალდებულების დაკმაყოფილებას მიემართება გადახდილი თანხა და ამის შესახებ გადახდის მომენტიდან გონივრულ ვადაში ატყობინებს მოვალეს, იმ პირობით, რომ ვალდებულება უნდა იყოს ვადამოსული და მოვალის მიერ აღიარებული [არ უნდა წარმოადგენდეს დავის საგანს].
- (3) თუკი მოვალის მიერ გადახდილი თანხა არ არის ვალის დასაფარად მიმართული ამ მუხლის (1) ან (2) პუნქტებით გათვალისწინებული წესით, მაშინ იგი ემსახურება იმ ვალდებულების დაკმაყოფილებას, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული თანმიმდევრობით ჩამოყალიბებულ პირობებიდან ერთ-ერთს:
 - (ა) უკვე ვადამოსული ვალდებულება ან ის რომლის გადახდის ვადაც ყველაზე ახლოსაა;
 - (ბ) ვალდებულება რომელიც ყველაზე ნაკებადაა უზრუნველყოფილი;
 - (გ) ვალდებულება რომლის გადახდის ტვირთიც ყველაზე მძიმეა მოვალისათვის;
 - (დ) ვალდებულება რომელიც ყველაზე ადრე წარმოიშვა.

თუკი ვერცერთი ზემოაღნიშნული კრიტერიუმი ვერ გამოიყენება, მაშინ გადახდილი თანხა ნაწილდება თითოეულ ვალდებულებაზე პროპორციულად.

მუხლი 6.1.13

(არაფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობა)

UNIDROIT PRINCIPLES

არაფულადი ვალდებულებების შესრულების რიგითობასთან მიმართებით გამოიყენება 6.1.12 მუხლის დებულებები შესაბამისი მისადაგებით.

მუხლი 6.1.14

(განცხადება საჯარო ნებართვის მოსაპოვებლად)

თუკი სახელმწიფოს კანონმდებლობა მოითხოვს სპეციალური ნებართვის მოპოვებას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების ნამდვილობაზე ან მის შესრულებაზე და კანონით ან საქმის გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს

(ა) ერთმა მხარემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები ნებართვის მისაღებად, თუკი მხოლოდ მას აქვს საქმიანობის ადგილი ამ სახელმწიფოში;

(ბ) სხვა შემთხვევაში მხარემ, რომლის მიერ ვალდებულების შესრულება მოითხოვს ნებართვას, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სახელმწიფოსგან ნებართვის მოსაპოვებლად.

მუხლი 6.1.15

(ნებართვის მოსაპოვებლად განცხადების წარდგენის პროცედურა)

- (1) მხარე რომელიც ვალდებულია მიიღოს ნებართვის მისაღებად საჭირო ზომები, ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს ისინი და დაფაროს ამასთან დაკავშირებული ხარჯები.
- (2) მხარემ შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ნებართვის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6.1.16

(არც ნებართვის გაცემა და არც მის გაცემაზე უარი)

- (1) თუ ნებართვის მოპოვებაზე პასუხისმგებელი მხარის მიერ საჭირო ზომების მიღების მიუხედავად, ნებართვა შეთანხმებული პერიოდისთვის, ან თუკი ასეთზე მხარეები არ შეთანხმებულან, მაშინ ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში მხარეთათვის არც მინიჭებულია და არც მის მინიჭებაზეა

UNIDROIT PRINCIPLES

უარი ნათქვამი, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

- (2) თუკი ნებართვის მოპოვება გავლენას ახდენს ხელშეკრულების მხოლოდ ზოგიერთ დებულებაზე, მაშინ ამ მუხლის (1) პარაგრაფი არ გამოიყენება, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე გონივრულია ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის შენარჩუნება, მაშინაც თუკი ნებართვის მინიჭებაზე მხარეებს უარი ეთქვათ.

მუხლი 6.1.17

(ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმა)

- (1) იმ ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმა, რომელსაც გავლენა აქვს ხელშეკრულების ნამდვილობაზე იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. თუ, ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმა ხელშეკრულების გარკვეული პირობების ნამდვილობაზე ახდენს გავლენას, მხოლოდ ასეთი დებულებებია ბათილი, თუკი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე გონივრულია ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის შენარჩუნება.
- (2) თუ ნებართვაზე უარის თქმა იწვევს ხელშეკრულების შესრულებას სრულად ან ნაწილობრივ ხდის შეუძლებელს, მაშინ გამოიყენება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული წესები.

ნაწილი 2: გართულება

მუხლი 6.2.1

(ხელშეკრულება უნდა შესრულდეს)

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შესრულების გართულებისას, ეს მხარე, მიუხედავად დამაბრკოლებელი გარემოებებისა, ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება გართულების თაობაზე ქვემოთ განსაზღვრული ნორმების გათვალისწინებით.

მუხლი 6.2.2

(გართულების განსაზღვრება)

UNIDROIT PRINCIPLES

გართულებას ადგილი აქვს, როდესაც რაიმე მოვლენის დადგომით არსებითად იცვლება სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებული ვალდებულებების ბალანსი, ან შესრულების ხარჯის მხარისთვის გაზრდით ან შესრულების მიმღები მხარისათვის მისაღები შესრულების ღირებულების შემცირებით, და

(ა) ამ მოვლენებს ადგილი აქვს ან ცნობილი გახდა დაზარალებული მხარისათვის ხელშეკრულების დადების შემდეგ;

(ბ) დაზარალებულ მხარეს ამ მოვლენების გათვალისწინება არ შეეძლო ხელშეკრულების დადების მომენტში;

(გ) დაზარალებულ მხარეს ამ მოვლენებზე ზემოქმედება არ შეუძლია; და

(დ) დაზარალებული მხარე ვერ აცნობიერებდა ამ მოვლენების რისკს.

მუხლი 6.2.3

(გართულების შედეგები)

(1) დაზარალებული მხარე გართულების არსებობისას, უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადახედვა. აღნიშნული მოთხოვნა, უნდა გაკეთდეს შეუსაბამო დაყოვნების გარეშე და შესაბამის საფუძველზე მითითების გზით.

(2) მოთხოვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადახედვაზე, თავისთავად, დაზარალებულ მხარეს არ აძლევს უფლებას შეაჩეროს შესრულება.

(3) გონივრულ ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

(4) თუ სასამართლო დაადგენს გართულების არსებობას, მაშინ თუ გონივრულია, მას შეუძლია:

(ა) გააუქმოს ხელშეკრულება კონკრეტული თარიღით და განსაზღვრული პირობებით, ან

(ბ) ბალანსის აღდგენის მიზნით მიუსადაგოს ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს.

თავი 7: შეუსრულებლობა

ნაწილი 1: შეუსრულებლობა ზოგადად

მუხლი 7.1.1

(შეუსრულებლობა - ცნება)

UNIDROIT PRINCIPLES

შეუსრულებლობა არის ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, ნაკლიანი შესრულების ან დაგვიანებით შესრულების ჩათვლით.

მუხლი 7.1.2

(სხვა მხარის ჩარევა)

მხარე ვერ დაეყრდნობა სხვა მხარის შეუსრულებლობას თუ ასეთი შეუსრულებლობა გამომწვეული იყო პირველი მხარის მოქმედებით ან უმოქმედობით, ან სხვა რაიმე მოვლენით რომელზეც რისკის მატარებელი იყო პირველი მხარე.

მუხლი 7.1.3

(შესრულების შეჩერება)

- (1) როდესაც მხარეებმა ვალდებულება ერთდროულად უნდა შეასრულონ, თითოეულ მხარეს შეუძლია შეაჩეროს შესრულება მანამ სანამ სხვა მხარე არ შესთავაზებს თავის შესრულებას.
- (2) როდესაც მხარეებმა ვალდებულება უნდა შეასრულონ თანმიმდევრულად, მხარემ რომელმაც ვალდებულება მოგვიანებით უნდა შეასრულოს შეუძლია შეაჩეროს შესრულება მანამ სანამ პირველი მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

მუხლი 7.1.4

(ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ შესრულების გამოსწორება)

- (1) მხარეს რომელიც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას შეუძლია თავის ხარჯზე, გამოასწოროს ნებისმიერი შეუსრულებლობა, იმ პირობით, თუ:
 - (ა) შეუსაბამო დაყოვნების გარეშე შეატყობინებს მხარეს გამასწორებელი ქმედებების საშუალებებსა და ვადაზე;
 - (ბ) შესრულების გამოსწორება არსებული გარემოებების შესაფერისია;
 - (გ) დაზარალებულ მხარეს არ აქვს ლეგიტიმური ინტერესი უარი თქვას გამასწორებელ მოქმედებებზე; და
 - (გ) გამასწორებელ მოქმედებებს ექნება სწრაფი შედეგი.
- (2) უფლება გამასწორებელ მოქმედებებზე არ გამოირიცხება ხელშეკრულების შეწყვეტაზე [გაუქმებაზე] შეტყობინებით.
- (3) გამასწორებელ მოქმედებებზე სათანადო შეტყობინების შემდეგ, დაზარალებულ მხარეს გამასწორებელი მოქმედებების ვადის ამოწურვამდე არ

UNIDROIT PRINCIPLES

შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები, რომლებიც შეუსაბამოა ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.

- (4) დაზარალებულ მხარეს შეუძლია ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეჩერება გამასწორებელი მოქმედებების განხორციელებამდე.
- (5) გამასწორებელი მოქმედებების მიუხედავად, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვადის გადაცილებისათვის, ასევე, ნებისმიერი ზიანისათვის რომელიც გამოწვეულია ან რომლის აღკვეთაც ვერ მოხდა გამასწორებელი მოქმედებით.

მუხლი 7.1.5

(დამატებითი ვადა შესრულებისათვის)

- (1) ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მეორე მხარეს დაუნიშნოს დამატებითი ვადა შესრულებისათვის.
- (2) დამატებითი ვადის მოქმედების პერიოდში, დაზარალებულ მხარეს შეუძლია შეაჩეროს საპასუხო ვალდებულების შესრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მაგრამ არ შეუძლია სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების [მეორადი მოთხოვნის] გამოყენება. თუ იგი მიიღებს შეტყობინებას, რომ ამ უკანასკნელის მიერ დანიშნულ ვადაში ვერ მოხდება შესრულება ან დანიშნულ ვადაში სათანადო შესრულებას ადგილი არ ჰქონდა, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია გაოიყენოს წინამდებარე თავით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება [მეორადი მოთხოვნა].
- (3) როდესაც შესრულების ვადის გადაცილებას, რომელიც არ არის არსებითი ხასიათის, დაზარალებული მხარის მიერ გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადის დანიშვნის შეტყობინებისას, მას შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ ვადის გასვლის შემდეგ. თუ დამატებითი ვადა არ არის გონივრული ხანგრძლივობის ის უნდა გაგრძელდეს გონივრულ ვადად. დაზარალებულმა მხარემ თავის შეტყობინებაში შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება თუ შესრულება არ მოხდება წარდგენილ ვადაში.
- (4) ამ მუხლის პარაგრაფი (3) არ გამოიყენება, როდესაც ვალდებულება რომელიც მხარის მიერ არ შესრულდა არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უმნიშვნელო ნაწილი.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 7.1.6

(გამომრიცხველი დათქმები)

სახელშეკრულებო დათქმა, რომელიც ზღუდავს ან გამორიცხავს ერთი მხარის პასუხისმგებლობას შეუსრულებლობისათვის, ან ერთ მხარეს ნებას რთავს განახორციელოს ისეთი შესრულება, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ შესრულებისაგან რომელსაც სხვა მხარე გონივრულად ელოდებოდა, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს თუ მისი გამოყენება აშკარა უსამართლობაა, მხედველობაშია მისაღები ხელშეკრულების მიზანი.

მუხლი 7.1.7

(დაუძლეველი ძალა, ფორს-მაჟორი)

- (1) მხარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისგან თავისუფლდება, თუ დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ისეთი დაბრკოლებებისგან, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და ხელშეკრულების დადების დროს ამ დაბრკოლებების გათვალისწინება, თავიდან აცილება ან მისი შედეგების დაძლევა შეუძლებელი იყო გონივრულობის ფარგლებში.
- (2) როდესაც დაბრკოლება დროებითია, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ძალაშია გონივრული ვადით, მხედველობაში მიიღება რა, დაბრკოლების გავლენა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.
- (3) მხარე რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას უნდა შეატყობინოს სხვა მხარეს წარმოშობილი დაბრკოლების და მისი გავლენის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. თუ მეორე მხარე არ მიიღებს შეტყობინებას გონივრულ ვადაში, როდესაც ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის გახდა ან უნდა გამხდარიყო ცნობილი დაბრკოლების შესახებ, იგი [ვალდებულების დამრღვევი მხარე] არის პასუხისმგებელი იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია შეუტყობინებლობით.
- (4) წინამდებარე მუხლი არ ართმევს მხარეს უფლებას, რომ მან შეწყვიტოს ხელშეკრულება, შეაჩეროს შესრულება ან მოითხოვოს კუთვნილი პროცენტი.

ნაწილი 2: უფლება შესრულებაზე

მუხლი 7.2.1

(ფულადი ვალდებულების შესრულება)

UNIDROIT PRINCIPLES

მხარე რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ფულადი თანხა და ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს თანხის გადახდა.

მუხლი 7.2.2

(არაფულადი ვალდებულების შესრულება)

სადაც მხარის ვალდებულება არაფულადია და მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს შესრულება, გარდა:

- (ა) შესრულება შეუძლებელია სამართლებრივად და ფაქტობრივად;
- (ბ) შესრულება ან სადაც შესაძლებელია აღსრულება, არაგონივრულად მძიმე ან მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს;
- (გ) მხარე რომელიც უფლებამოსილია შესრულებაზე [შესრულების მიღებაზე], შეუძლია მიიღოს შესრულება სხვა წყაროდან;
- (დ) შესრულება ატარებს პირად ხასიათს, ან
- (ე) მხარე რომელიც უფლებამოსილია შესრულებაზე, გონივრულ ვადაში არ ითხოვს შესრულებას მას შემდეგ, რაც შეიტყო ან უნდა შეეტყო ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე.

მუხლი 7.2.3

(ნაკლიანი შესრულების გამოსწორება ან ჩანაცვლება)

უფლება შესრულებაზე მოიცავს ასევე უფლებას ნაკლიანი შესრულების გამოსწორებაზე, ჩანაცვლებაზე ან სხვა გამასწორებელ მოქმედებებს. მუხლები 7.2.1 და 7.2.2 გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7.2.4

(სასამართლოს ჯარიმა)

- (1) როდესაც სასამართლო მხარეს ავალდებულებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მას ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ ასეთმა მხარემ მეორე მხარეს გადაუხადოს ჯარიმა, იმ შემთხვევისათვის თუ მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.
- (2) ჯარიმა უნდა გადაეხადოს დაზარალებულ მხარეს, თუ იმ ქვეყნის იმპერატიული ნორმები სადაც სასამართლო დავა განიხილება სხვა წესს არ ადგენენ. დაზარალებული მხარისათვის ჯარიმის გადახდა არ გამორიცხავს რაიმე მოთხვნას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 7.2.5

(სამართლებრივი დაცვის საშუალების შეცვლა)

- (1) დაზარალებულ მხარეს, რომელმაც მოითხოვა არაფულადი ვალდებულების შესრულება და შესრულება არ განხორციელებულა დადგენილ ვადაში ან სხვა შემთხვევაში გონივრულ ვადაში, შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება.
- (2) სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება არაფულადი ვალდებულების შესრულებაზე არ შეიძლება იყოს იძულებით აღსრულებული, დაზარალებულ მხარეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება.

ნაწილი 3: შეწყვეტა

მუხლი 7.3.1

(ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება)

- (1) მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით დარღვევა [შეუსრულებლობა] არსებითი ხასიათის არის.
- (2) იმის დასადგენად დარღვევა არსებითი ხასიათის არის თუ არა გათვალისწინებული უნდა იქნეს:
 - (ა) შეუსრულებლობა დაზარალებულ მხარეს არსებითად ართმევს იმის მიღების შესაძლებლობას, რასაც იგი ხელშეკრულების საფუძველზე ელოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარეს არ გაუთვალისწინებია და გონივრულობის ფარგლებში ვერც შეეძლო რომ გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომა;
 - (ბ) იმ ვალდებულების მკაცრად და განუხრელად დაცვა, რომელიც არ შესრულდა ხელშეკრულების შესაბამისად არსებითი მნიშვნელობის არის;
 - (გ) შეუსრულებლობა განზრახვით მოხდა თუ გაუფრთხილებლობით;
 - (დ) შეუსრულებლობა აძლევს დაზარალებულს იმის ფიქრის საშუალებას, რომ სჯეროდეს, რომ მას აღარ შეეძლება დაეყრდნოს მეორე მხარის შესრულებას მომავალში;
 - (ე) დამრღვევ მხარეს გაწეული მოსამზადებელი სამუშაოებისა ან ხელშეკრულების შესრულების გამო შეუსაბამოდ მაღალი ზიანი მიადგება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

UNIDROIT PRINCIPLES

- (ვ) ვადის გადაცილების შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე ვერ შეძლებს 7.1.5 მუხლით დაწესებულ ვადაში შესრულებას.

მუხლი 7.3.2

(შეტყობინება შეწყვეტის თაობაზე)

- (1) ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების განხორციელება ხდება მეორე მხარისთვის მისი შეტყობინებით.
- (2) თუ შესრულება შეთავაზებულია დაგვიანებით ან სხვა ფორმით, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულებას, დაზარალებული მხარე კარგავს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გონივრულ ვადაში შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მას შემდეგ რაც მისთვის შეთავაზების ან შესრულების შეუსაბამობის შესახებ გახდება ცნობილი ან უნდა გამხდარიყო ცნობილი.

მუხლი 7.3.3

(მოსალოდნელი შეუსრულებლობა)

თუ შესრულების ვადის დადგომამდე აშკარაა, რომ სახეზე იქნება არსებითი შეუსრულებლობა ერთი მხარის მიერ, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7.3.4

(ჯეროვანი შესრულების სათანადო უზრუნველყოფა [გარანტია])

მხარე, რომელსაც გონივრულად სჯერა, რომ სახეზე იქნება მეორე მხარის მხრიდან არსებითი შეუსრულებლობა, შეუძლია მოითხოვოს ჯეროვანი შესრულების ადეკვატური უზრუნველყოფა და ამ დროის განმავლობაში შეაჩეროს თავისი შესრულება. თუ აღმნიშნული უზრუნველყოფა არ იქნება წარმოდგენილი გონივრულ ვადებში, მხარეს, რომელიც მის წარმოდგენას ითხოვს, შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7.3.5

UNIDROIT PRINCIPLES

(შეწყვეტის ზოგადი შედეგები)

- (1) ხელშეკრულების შეწყვეტა ორივე მხარეს ათავისუფლებს სახელშეკრულებო ვალდებულებების მომავალში შესრულების ან მიღების ვალდებულებისაგან.
- (2) ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამორიცხავს შეუსრულებლობისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.
- (3) ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების რომელიმე დებულებაზე, რომელიც შეეხება დავათა გადაწყვეტას ან რაიმე სხვა დებულებას, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც მოქმედებს.

მუხლი 7.3.6

(რესტიტუცია ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც ერთჯერადი შესრულებით უნდა შესრულდეს)

- (1) ერთჯერადი შესრულებით შესასრულებელი ხელშეკრულების შეწყვეტისას თითოეულ მხარეს უფლება აქვს უკან მიიღოს [რესტიტუცია] ის რაც ხელშეკრულების საფუძველზე მიაწოდა, იმ შემთხვევაში, თუ თავად ეს მხარე თავისმხრივ ყველაფერს უკან დააბრუნებს [რესტიტუცია], რაც კი მიიღო ხელშეკრულების საფუძველზე.
- (2) იმ შემთხვევაში თუ ნატურით დაბრუნება [რესტიტუცია] შეუძლებელი არის ან არასათანადო იქნება, მაშინ უნდა მოხდეს ფულადი რესტიტუცია [ფულით დაბრუნება], როდესაც ეს გონივრულია.
- (3) შესრულების მიმღები არ არის ვალდებული ფულად რესტიტუციაზე თუ ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა მეორე მხარესთან არის დაკავსირებული.
- (4) შესრულების შენახვასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელი არის.

მუხლი 7.3.7

(რესტიტუცია გრძელვადიანი ხელშეკრულების შესრულებისას)

- (1) გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტისას რესტიტუციის მოთხოვნა მხოლოდ იმ პერიოდზე არის შესაძლებელი, როდიდანაც ხელშეკრულების შეწყვეტა შევიდა ძალაში, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება დაყოფადია.
- (2) ისეთ შემთხვევებში, როდესაც რესტიტუცია უნდა განხორციელდეს გამოიყენება 7.3.6 მუხლი.

UNIDROIT PRINCIPLES

ნაწილი 4: ზიანი

მუხლი 7.4.1

(ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება)

ნებისმიერი შეუსრულებლობა დაზარალებულ მხარეს აძლევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განყენებულად ან სხვა ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე პრინციპებით შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

მუხლი 7.4.2

(სრული კომპენსაცია)

- (1) დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს იმ ზიანის სრული კომპენსაცია, რომელიც გამოწვეული არის შეუსრულებლობით. ზიანში იგულისხმება ნებისმიერი დანაკლისი რაც დაზარალებულმა განიცადა და ნებისმიერი სარგებელი რომლის მიღებაც ვეღარ მოხერხდა, იმ გაშვებული სარგებლის გათვალისწინებით, რომელიც განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ დაზარალებულ მხარეს თავი დაეღწია ხარჯებისა ან ზიანისათვის.
- (2) აღნიშნული ზიანი შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ფულადი სახით, არამედ იგი მაგალითად მოიცავს ასევე ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს ან მორალურ ზიანს.

მუხლი 7.4.3

(ზიანის სიცხადე)

- (1) ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი ზიანი, მომავალი ზიანის ჩათვლით, რომელიც დადასტურებულია მაღალი გონივრულობის მაღალი დონის სიცხადით.
- (2) ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს შანსის დაკარგვა [ხელსაყრელი სიტუაციის ხელიდან გაშვება] მისი წარმოშობის/დადგომის ალბათობის პროპორციულად.
- (3) როდესაც ზიანის ოდენობის სიცხადის საკმარისი დონით დადგენა შეუძლებელია, მისი შეფასება სასამართლოს დისკრეციას წარმოადგენს.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 7.4.4

(ზიანის [წინასწარ] განჭვრეტადობა)

დამრღვევი მხარე პასუხისმგებელი არის მხოლოდ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ისეთ ზიანზე, რომელსაც იგი ითვალისწინებდა ან გონივრულობის ფარგლებში შეეძლო გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების დროს, რომ მისი შეუსრულებლობის შედეგად შეიძლება დამდგარიყო.

მუხლი 7.4.5

(ზიანის დამტკიცება გარიგების ჩანაცვლებისას)

როდესაც დაზარალებული მხარე წყვეტს ხელშეკრულებას და გონივრულ ვადებში და სათანადო ფორმით დადებს ხელშეკრულების ჩამანაცვლებელ გარიგებას, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს როგორც ხელშეკრულების და ჩამანაცვლებელი გარიგების ფასებს შორის სხვაობა, ასევე ზიანის ანაზღაურება ნებისმიერი მომავალი ზიანისთვის.

მუხლი 7.4.6

(ზიანის დამტკიცება მიმდინარე ფასის საფუძველზე)

- (1) თუ დაზარალებულმა მხარემ შეწყვიტა ხელშეკრულება და არ დადო ჩამანაცვლებელი გარიგება, მაგრამ სახეზე არის მიმდინარე ფასი სახელშეკრულებო შესრულებისთვის, მაშინ დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს სახელშეკრულებო ფასსა და მიმდინარე ფასს შორის არსებული სხვაობის გადახდა და ასევე ზიანის ანაზღაურება ნებისმიერი მომავალი ზიანისთვის.
- (2) მიმდინარე ფასი არის ფასი, რომელიც ზოგადად გადაიხდება განსახილველი გარემოებების მსგავს პირობებში საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას იმ ადგილას, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო ან, თუ ასეთ ადგილას არ არსებობს მიმდინარე ფასი, გამოიყენება იმ ადგილის მიმდინარე ფასი, რომელზე მითითებაც გონივრულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მუხლი 7.4.7

UNIDROIT PRINCIPLES

(ზიანი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული არის დაზარალებული მხარის მიერ)

თუ ზიანი ნაწილობრივ გამოწვეული არის დაზარალებული მხარის მოქმედებით ან უმოქმედობით ან სხვა ისეთი გარემოებით, რომლისთვისაც რისკს დაზარალებული მხარე ატარებს, ზიანის ოდენობა უნდა შემცირდეს იმ ოდენობით, რომლითაც აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს ზიანის წარმოშობა, თითოეული მხარის ქმედების გათვალისწინებით.

მუხლი 7.4.8

(ზიანის შემცირება)

- (1) დამრღვევი მხარე ზიანის იმ ნაწილის ანაზღაურებაზე არ არის ვალდებული, რომელიც შეიძლება შემცირებულიყო დაზარალებულ მხარეს რომ ემოქმედა გონივრულად.
- (2) დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს იმ გონივრულად წარმოშობილი ხარჯებისთვის, რომელიც მან გაიღო ზიანის შემცირების მცდელობისას.

მუხლი 7.4.9

(პროცენტი ფულის გადაუხდელობისთვის)

- (1) თუ მხარე არ იხდის ვადამოსულ ფულად თანხას, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაუხდელი თანხის პროცენტი გადახდის ვადის დადგომიდან გადახდის განხორციელებამდე პერიოდზე მიუხედავად იმისა თანხის გადახდის ვალდებულებისაგან დამრღვევი მხარე გათავისუფლებული არის თუ არა.
- (2) პროცენტის ოდენობა [ტარიფი] უნდა შეადგენდეს გადახდის განხორციელების ადგილას პირველი კლასის მსესხებლებისთვის საბანკო მოკლევადიან სესხზე გაცემული პროცენტის ოდენობის საშუალოს იმ ვალუტაში, რომელიც გამოიყენება ასეთ ადგილას, ან თუ ასეთი ოდენობა ამ ადგილას არ არის განსაზღვრული [არ არსებობს], მაშინ ის ოდენობა [ტარიფი] გამოიყენება, რომელიც მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვალუტის ქვეყანაში. ორივე ადგილას ასეთი ოდენობის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება შესაბამისი ოდენობა [ტარიფი], რომელიც დადგენილია გადახდის ვალუტის ქვეყნის კანონმდებლობით.
- (3) დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის დამატებითი ანაზღაურება თუ გადაუხდელობით მას უფრო დიდი ზიანი მიადგა.

მუხლი 7.4.10

(პროცენტი ზიანის ოდენობაზე)

UNIDROIT PRINCIPLES

თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, არაფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანზე პროცენტის დარიცხვა ხდება შეუსრულებლობის მომენტიდან.

მუხლი 7.4.11

(ფულადი ანაზღაურების ფორმა)

- (1) ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრული ოდენობის გადახდის გზით. ამასთან, ის შეიძლება გადახდილ იქნეს ნაწილ-ნაწილ თუკი ზიანის ხასიათი ამის საშუალებას იძლევა.
- (2) დასაშვებია იმ ზიანის ინდექსირება [ნუმერაცია] რომლის ანაზღაურებაც ნაწილ-ნაწილ უნდა მოხდეს.

მუხლი 7.4.12

(ვალუტა, რომელშიც უნდა შეფასდეს ზიანი)

ზიანი უნდა შეფასდეს ან იმ ვალუტაში, რომელშიც ფულადი ვალდებულება იყო განსაზღვრული ან იმ ვალუტაში, რომელშიც ზიანი იქნა მიყენებული, ამ ორიდან, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება გარემოებებს.

მუხლი 7.4.13

(შეუსრულებლობისთვის გადასახდელი შეთანხმებული თანხა)

- (1) თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული თანხა, რომლის გადახდაც შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს დაზარალებულისათვის დამრღვევი მხარის მხრიდან, მაშინ დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მიიღოს აღნიშნული შეთანხმებული თანხა რეალურად დამდგარი ზიანის მიუხედავად.
- (2) ამასთან, მიუხედავად საპირისპიროზე შეთანხმებისა, განსაზღვრული თანხა შეიძლება შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე, თუ აღნიშნული თანხა ძალიან შეუსაბამოდ მაღალი არის მიყენებულ ზიანთან და სხვა გარემოებებთან მიმართებით.

თავი 8 - ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა

მუხლი 8.1

(გაქვითვის პირობები)

UNIDROIT PRINCIPLES

- (1) თუ ორ მხარეს ერთმანეთის მიმართ აკისრიათ მსგავსი ფულადი ან სხვა სახის ვალდებულების შესრულება, თითოეულ მხარეს („პირველი მხარე“) შეუძლია თავისი ვალდებულება გაქვითოს მისი კრედიტორის („მეორე მხარე“) ვალდებულებაში, თუ გაქვითვის დროს:
 - (ა) პირველი მხარე უფლებამოსილია შეასრულოს თავისი ვალდებულება;
 - (ბ) მეორე მხარის ვალდებულების როგორც სამართლებრივი საფუძველი ასევე მისი ოდენობაც განსაზღვრულია და შესრულების ვადა დამდგარია.
- (2) თუ ორივე მხარის მოთხოვნა გამომდინარეობს ერთი ხელშეკრულებიდან, პირველ მხარეს შეუძლია გაქვითოს თავისი ვალდებულება მეორე მხარის ვალდებულებაში მისი სამართლებრივი საფუძვლის ან რაოდენობის განუსაზღვრელობის შემთხვევაშიც.

მუხლი 8.2

(უცხოური ვალუტების გაქვითვა)

როდესაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ ფულადი ვალდებულება სხვადასხვა ვალუტაში აკისრიათ, გაქვითვის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ ვალუტები თავისუფლად კონვერტირებადია და მხარეები რომელიმე კონკრეტულ ვალუტაზე წინასწარ არ შეთანხმებულან, რომელშიც პირველმა მხარემ უნდა განხორციელოს გაქვითვა.

მუხლი 8.3

(გაქვითვა შეტყობინებით)

გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

მუხლი 8.4

(შეტყობინების შინაარსი)

- (1) შეტყობინებაში განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რომელი ვალდებულება იქვითება.
- (2) თუ შეტყობინებაში არ იკვეთება რომელი ვალდებულების სანაცვლოდ ხორციელდება გაქვითვა, მეორე მხარეს უფლება აქვს გონირულ ვადაში

UNIDROIT PRINCIPLES

განუსაზღვროს პირველ მხარეს ის ვალდებულება, რომელსაც გაქვითვა შეეხება. თუ ასეთი განსაზღვრება არ მოხდება, მაშინ გაქვითვა ყველა არსებულ ვალდებულებაზე გავრცელდება პროპორციულად.

მუხლი 8.5

(გაქვითვის შედეგები)

- (1) გაქვითვით ვალდებულებები წყდება.
- (2) თუ გასაქვითი ვალდებულებების ოდენობა/მოცულობა განსხვავებულია, იქვითება მხოლოდ ის, რომლის ოდენობაც/მოცულობაც უფრო ნაკლებია.
- (3) გაქვითვა ხორციელდება შეტყობინების მომენტიდან.

თავი 9 - უფლების დათმობა, ვალდებულების გადაკისრება,

ხელშეკრულების დათმობა

ნაწილი -1: უფლების დათმობა

მუხლი 9.1.1

(დეფინიციები [ცნება])

„უფლების დათმობა“ ნიშნავს შეთანხმების საფუძველზე ერთი პირის („უფლების მფლობელი“ / „უფლების დამთმობი“ / „ცედენტი“) მიერ სხვა პირისთვის („უფლების მიმღები“ / „ბენეფიციარი“ / „ცესიონარი“) ფულის გადახდის ან სხვა ვალდებულების შესრულების მესამე პირის მიმართ („მოვალის“) მოთხოვნის უფლების გადაცემას, რაც მოიცავს უზრუნველყოფის გზით გადაცემასაც.

მუხლი 9.1.2

(გამონაკლისები)

ეს ნაწილი არ გამოიყენება სპეციალური წესებით დარეგულირებულ ისეთ გადაცემებზე, რომლებიც შეეხება:

- (ა) ფასიანი ქაღალდების [ბრუნვაუნარიანი საკრედიტო-ფულადი დოკუმენტი], საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ან ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემას, ან
- (ბ) საწარმოს გადაცემისას უფლებების გადაცემას.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 9.1.3

(არაფულადი უფლებების გადაცემაუნარიანობა)

არაფულადი შესრულების თაობაზე უფლება შეიძლება გადაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გადაცემა უფრო არ ართულებს ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 9.1.4

(ნაწილობრივი გადაცემა)

- (1) ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება შეიძლება გადაიცეს ნაწილობრივ.
- (2) სხვა სახის შესრულების თაობაზე მოთხოვნის უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს ნაწილობრივ, თუ ეს რეკომენდირებულია, და თუ აღნიშნული გადაცემა უფრო არ ართულებს ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 9.1.5

(მომავალი უფლებები)

მომავალი უფლება გადაცემულად ითვლება შეთანხმების მიღწევის დროს, იმ პირობით, რომ როდესაც წარმოიშობა აღნიშნული უფლება, მისი იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება იმ უფლებად, რომლის გადაცემაც მოხდა.

მუხლი 9.1.6

(ინდივიდუალური განსაზღვრის გარეშე გადაცემული უფლებები)

გარკვეული რაოდენობის უფლებების გადაცემა შეიძლება მათი ინდივიდუალური განსაზღვრის გარეშე, იმის გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ გადაცემის მომენტში ან უფლებათა წარმოშობის მომენტში იმის იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება, რომ აღნიშნული უფლებები ნამდვილად ამ გადაცემასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 9.1.7

(ცედენტსა და ცესიონარს შორის შეთანხმების საკმარისობა)

UNIDROIT PRINCIPLES

- (1) უფლების გადაცემა ხდება მხოლოდ ცედენტსა და ცესიონარს შორის შეთანხმებით, მოვალისთვის შეტყობინების გარეშე.
- (2) მოვალის თანხმობა არ არის საჭირო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულება გარმოებათა გათვალისწინებით პირადი ხასიათის მატარებელია.

მუხლი 9.1.8

(მოვალის დამატებითი ხარჯები)

მოვალეს უფლება აქვს ცედენტისაგან ან ცესიონარისაგან მიიღოს კომპენსაცია ნებისმიერი დამატებითი ხარჯისათვის, რაც გამოწვეულია უფლების გადაცემით.

მუხლი 9.1.9

(დათქმები უფლების გადაცემის აკრძალვის თაობაზე)

- (1) ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნის უფლების გადაცემა ნამდვილია, მიუხედავად ცედენტსა და მოვალეს შორის შეთანხმებისა, რომელიც ზღუდავს ან კრძალავს ასეთ გადაცემას [დათმობას]. ამასთან, ცედენტს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მოვალის მიმართ ხელშეკრულების დარღვევისთვის.
- (2) სხვა შესრულების თაობაზე მოთხოვნის დათმობა არ არის ნამდვილი, თუ ის ეწინააღმდეგება ცედენტსა და მოვალეს შორის არსებულ შეთანხმებას, რომელიც ასეთ დათმობას ზღუდავს ან კრძალავს. ამასთან, ეს დათმობა ჩაითვლება ნამდვილად თუ ცესიონარმა, დათმობის მომენტისთვის, არც იცოდა და არც უნდა სცოდნოდა ასეთი შეთანხმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, ცედენტს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მოვალის მიმართ ხელშეკრულების დარღვევისთვის.

მუხლი 9.1.10

(მოვალისთვის შეტყობინება [მოვალის ინფორმირება])

- (1) სანამ მოვალე ცედენტისაგან ან ცესიონარისაგან მიიღებს შეტყობინებას უფლების დათმობის შესახებ, ვალდებულება წყდება ცედენტისთვის გადახდით.
- (2) ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ მოვალის ვალდებულება წყდება მხოლოდ ცესიონარისთვის გადახდის გზით.

მუხლი 9.1.11

UNIDROIT PRINCIPLES

(თანმიმდევრული დათმობები)

თუ ერთი და იგივე უფლების დათმობა მოხდა ერთი და იგივე ცედენტის მიერ ორი ან რამდენიმე მომდევნო ცესიონარისთვის, მოვალის ვალდებულება წყდება გადახდების შეტყობინებათა მიღების რიგითობის შესაბამისად განხორციელების გზით.

მუხლი 9.1.12

(დათმობის ჯეროვანი [ადექვატური] დადასტურება [დამტკიცება])

- (1) თუ დათმობის შესახებ შეტყობინება მოვალემ მიიღო ცესიონარისაგან, აშინ მოვალეს უფლება აქვს მოსთხოვოს ცესიონარს გონივრულ ვადაში იმის ადექვატური დადასტურება, რომ დათმობა ნამდვილად განხორციელდა.
- (2) სანამ ადექვატური დადასტურების წარმოდგენა მოხდება, მოვალეს შეუძლია შეაჩეროს გადახდა.
- (3) თუ ადექვატური დადასტურება არ იქნება წარმოდგენილი შეტყობინებას არ ექნება იურიდიული ძალა.
- (4) ადექვატური დადასტურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტით, რომელიც ცედენტის მიერ არის გაცემული და რომლითაც დასტურდება, რომ დათმობა განხორციელებულია.

მუხლი 9.1.13

(შეცილება და გაქვითვის უფლება)

- (1) მოვალეს უფლება აქვს ცესიონარის წინაშე დააყენოს ყველა შეცილების უფლება [სამართლებრივი დაცვის საშუალება], რომელთა გამოყენებაც მას შეეძლებოდა ცედენტის მიმართ.
- (2) მოვალეს უფლება აქვს ცესიონარის მიმართ გამოიყენოს გაქვითვის ნებისმიერი უფლება, რომლის გამოყენებაც მოვალეს ცედენტის მიმართაც შეეძლებოდა იმ მომენტამდე, სანამ დათმობის შესახებ განხორციელდა შეტყობინება.

მუხლი 9.1.14

(უფლების დათმობასთან დაკავშირებული უფლებები)

უფლების დათმობის გზით ცესიონარზე გადადის:

- (ა) ცედენტის უველა უფლება თანხის გადახდის ან სხვა შესრულების მოთხოვნის თაობაზე ხელშეკრულების შესაბამისად გადაცემულ უფლებასთან მიმართებით, და

UNIDROIT PRINCIPLES

(ბ) ყველა უფლება, რაც უზრუნველყოფს გადაცემული უფლების შესრულებას.

მუხლი 9.1.15

(ცედენტის ვალდებულებები)

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის შეტყობინებული ცესიონარისთვის, ცედენტი კისრულობს ვალდებულებას და ადასტურებს ცესიონარის წინაშე, რომ:

(ა) გადაცემული უფლება არსებობს გადაცემის მომენტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემა შეეხება მომავალ უფლებას;

(ბ) ცედენტი უფლებამოსილია გადასცეს უფლება;

(გ) აღნიშნული უფლება ადრე არ ყოფილა სხვა ცესიონარისთვის დათმობის [გადაცემის] ობიექტი და რომ ეს უფლება თავისუფალია მესამე პირთა ნებისმიერი უფლებისა და მოთხოვნისაგან [უნაკლოა];

(დ) მოვალეს არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი დაცვის საშუალებები;

(ე) არც მოვალეს და არც ცედენტს არ გაუციათ შეტყობინება დათმობილი უფლების გაქვითვის თაობაზე და არც მომავალში არ გასცემენ მსგავს შეტყობინებას.

(ვ) ცედენტი აუნაზღაურებს ცესიონარს ყველა გადახდას, რაც კი მიღებულია მოვალის მხრიდან გადახდების სახით მანამ სანამ შეტყობინება უფლების დათმობის შესახებ იყო გაკეთებული.

ნაწილი -2: ვალდებულების გადაცემა [გადაკისრება]

მუხლი 9.2.1

(გადაცემის [გადაკისრების] სახეები)

ფულადი ვალდებულების ან სხვა შესრულების გაწევის ვალდებულება შესაძლებელია ერთი პირისგან („თავდაპირველი მოვალე“) გადაეცეს მეორე პირს („ახალი მოვალე“) ან

(ა) თავდაპირველ მოვალესა და ახალ მოვალეს შორის გარიგებით 9.2.3 მუხლის თანახმად, ან

UNIDROIT PRINCIPLES

ბ) კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის გარიგებით, რომლითაც ახალი მოვალე თავად კისრულობს ვალდებულებას.

მუხლი 9.2.2

(გამონაკლისი შემთხვევები)

ეს ნაწილი არ ეხება იმ ვალდებულების გადაცემას, რომელიც რეგულირდება საწარმოს გადაცემასთან მიმართებით ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებული სპეციალური წესების მეშვეობით.

მუხლი 9.2.3.

(კრედიტორის თანხმობა ვალდებულების გადაცემისას)

თავდაპირველ მოვალესა და ახალ მოვალეს შორის გარიგებით ვალდებულების გადაცემა საჭიროებს კრედიტორის თანხმობას.

მუხლი 9.2.4

(კრედიტორის წინასწარი თანხმობა)

- (1) კრედიტორს შეუძლია თავისი თანხმობა გასცეს წინასწარ.
- (2) იმ შემთხვევაში როდესაც კრედიტორი წინასწარ გასცემს თანხმობას, ვალდებულებათა გადაცემა ნამდვილი გახდება მაშინ, როდესაც გადაცემის შესახებ ეცნობება კრედიტორს ან როდესაც კრედიტორი ადასტურებს ვალდებულების გადაცემას.

მუხლი 9.2.5

(თავდაპირველი მოვალის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისგან)

- (1) კრედიტორს შეუძლია თავდაპირველი მოვალე გაათავისუფლოს ვალდებულების შესრულებისგან.
- (2) იმ შემთხვევაში როდესაც ახალი მოვალე ჯეროვნად არ ასრულებს ვალდებულებას კრედიტორს შეუძლია თავდაპირველ მოვალეს მიმართოს მოთხოვნით როგორც მოვალეს.

UNIDROIT PRINCIPLES

- (3) სხვა შემთხვევაში თავდაპირველი მოვალე და ახალი მოვალე როგორც ერთობლივად/სოლიდარულად ისე ცალ-ცალკე პასუხისმგებლები არიან ვალდებულების შესრულებაზე.

მუხლი 9.2.6

(მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება)

- (1) მოვალეს შეუძლია კრედიტორის თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს მესამე პირს მის ნაცვლად შეასრულოს ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ვალდებულებას გააჩნია განსაკუთრებულად პიროვნული ხასიათი.
- (2) კრედიტორი ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას მოვალის მიმართ.

მუხლი 9.2.7

(დაცვის საშუალებები და ვალდებულების გაქვითვის უფლება)

- (1) ახალ მოვალეს შეუძლია კრედიტორის წინააღმდეგ გამოიყენოს ყველა ის დაცვის საშუალება რაც თავდაპირველ მოვალეს შეეძლო გამოიყენებინა კრედიტორის მიმართ.
- (2) ახალ მოვალეს არ შეუძლია განახორციელოს ვალდებულების გაქვითვასთან დაკავშირებული უფლებები კრედიტორის მიმართ, რაც გააჩნდა თავდაპირველ მოვალეს კრედიტორთან მიმართებით.

მუხლი 9.2.8

(გადაცემულ ვალდებულებებთან დაკავშირებული უფლებები)

- (1) ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორს შეუძლია ახალი მოვალის მიმართ განახორციელოს ფულად ვალდებულებებთან ან სხვა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა უფლება, რაც მას ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია.
- (2) თუ თავდაპირველი მოვალე გათავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან 9.2.5(1) მუხლის საფუძველზე, მაშინ უზრუნველყოფა,

UNIDROIT PRINCIPLES

რომელიც მოწოდებული ნებისმიერი პირის მიერ, ასევე კარგავს იურიდიულ ძალას ახალი მოვალის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასეთი პირი თანახმაა კრედიტორის მიმართ გააჩნდეს ვალდებულება.

- (3) თავდაპირველი მოვალის გათავისუფლება ვალდებულებისაგან ასევე ვრცელდება იმ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაზე, რომელიც მოწოდებული არის თავდაპირველი მოვალის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა თუ უზრუნველყოფა ვრცელდება აქტივებზე რომელიც გადაცემულია როგორც თავდაპირველ მოვალესა და ახალ მოვალეს შორის გარიგების ნაწილი.

ნაწილი -3: ხელშეკრულების დათმობა

მუხლი 9.3.1

(დეფინიციები [ცნებები])

„ხელშეკრულების დათმობა“ ნიშნავს შეთანხმების საფუძველზე ერთი მხარის („უფლების მფლობელი“ / „უფლების დამთმობი“ / „ცედენტი“) მიერ მეორე მხარისთვის („უფლების მიმღები“ / „ბენეფიციარი“ / „ცესიონარი“) სხვა პირთან („მესამე მხარესთან“) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემას.

მუხლი 9.3.2

(გამონაკლისი)

ეს ნაწილი არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებათა დათმობის მიმართ, რომლებიც წესრიგდება, საწარმოს გადაცემისას, ხელშეკრულების დათმობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმებით.

მუხლი 9.3.3

(მეორე მხარის თანხმობის აუცილებლობა)

ხელშეკრულების დათმობისას საჭიროა მეორე მხარის თანხმობა.

მუხლი 9.3.4

(მეორე მხარის წინასწარი თანხმობა)

UNIDROIT PRINCIPLES

- (1) თანხმობა, ხელშეკრულების დათმობის თაობაზე, შეიძლება მეორე მხარის მიერ გაცემული იქნეს წინასწარ.
- (2) თუ მეორე მხარემ წინასწარ გასცა თანხმობა ხელშეკრულების დათმობის თაობაზე, მაშინ ხელშეკრულების დათმობა ნამდვილია, თუ მისი დადების შესახებ შეატყობინეს მეორე მხარეს ან მეორე მხარე შემდგომ აღიარებს მას/გაეცნობა მას.

მუხლი 9.3.5

(ცედენტის გათავისუფლება ვალდებულებებისგან)

- (1) მესამე მხარეს შეუძლია გაათავისუფლოს ცედენტი.
- (2) თუ ცესიონარი არაჯეროვნად შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მეორე მხარეს შეუძლია შეინარჩუნოს კრედიტორის, როგორც მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება.
- (3) სხვა შემთხვევებში ცედენტი და ცესიონარი როგორც სოლიდარულად ისეცალცალკე აგებენ პასუხს მეორე მხარის წინაშე.

მუხლი 9.3.6

(სამართლებრივი დაცვის საშუალება და გაქვითვის მოთხოვნის უფლება)

- (1) ხელშეკრულების დათმობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ეხება უფლების გადაცემას, შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.1.13.
- (2) ხელშეკრულების დათმობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ეხება ვალდებულებათა გადაცემას, შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.2.7.

მუხლი 9.3.7

(ხელშეკრულებასთან ერთად გადაცემული უფლებები)

- (1) ხელშეკრულების დათმობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ეხება უფლების გადაცემას, შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.1.14.
- (2) ხელშეკრულების დათმობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ეხება ვალდებულებათა გადაცემას, შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.2.8.

თავი 10 - ხანდაზმულობის ვადები

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 10.1

(ამ თავის მოქმედების სფერო)

- (1) წინამდებარე პრინციპებით განსაზღვრული უფლებები არ მოქმედებს იმ ვადის გასვლის შემთხვევაში, რომელიც მოხსენიებულია, როგორც „ხანდაზმულობის ვადა“ ამ თავით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
- (2) ამ თავით რეგულირდება სასამართლოში მიმართვის ვადები და არ რეგულირდება ვადა, რომლის განმავლობაშიც ერთ მხარეს, გარკვეული უფლების მოსაპოვებლად ან განსახორციელებლად, წინამდებარე პრინციპების საფუძველზე ევალება, რომ მეორე მხარეს მიაწოდოს შეტყობინება ან შეასრულოს რაიმე ქმედება.

მუხლი 10.2

(ხანდაზმულობის ვადები)

- (1) ზოგადი ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც კრედიტორი შეიტყობს ან (უნდა შეეცყო) იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის თანახმადაც მას უფლებების განხორციელებაც შეუძლია.
- (2) ნებისმიერ შემთხვევაში, ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა შეადგენს ათ წელს, რომლის დენაც იწყება უფლებების განხორციელების შესაძლებლობის დადგომის დღის მომდევნო დღიდან.

მუხლი 10.3

(ხანდაზმულობის ვადის მოდიფიკაცია [შეცვლა] მხარეების მიერ)

- (1) მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ ხანდაზმულობის ვადები.
- (2) თუმცა, მხარეებს არ შეუძლიათ
 - (ა) შეამცირონ ძირითადი ხანდაზმულობის ვადა ერთ წელზე ნაკლები ვადამდე.
 - (ბ) შეამცირონ მაქსიმალური ხანდაზმულობის ვადა ოთხ წელზე ნაკლებ ვადამდე.
 - (გ) გაზარდონ მაქსიმალური ხანდაზმულობის ვადა 15 წელზე მეტ ვადამდე.

მუხლი 10.4

(ახალი ხანდაზმულობის ვადა აღიარების შედეგად)

- (1) თუ მოვალე აღიარებს კრედიტორის უფლებას მანამ, სანამ ძირითადი ზოგადი ხანდაზმულობის ვადა ამოიწურება, ამ აღიარების დღის მომდევნო დღიდან იწყება ახალი ხანდაზმულობის ვადა დენა.
- (2) მაქსიმალური ხანდაზმულობის ვადის დენა ახლიდან არ იწყებს დენას, მაგრამ შეიძლება მას აღემატებოდეს ახლად დაწყებული ზოგადი ხანდაზმულობის ვადა 10.2(1) მუხლის შესაბამისად.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 10.5

(ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სასამართლო წარმოებისას)

- (1) ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება
 - (ა) კრედიტორის ნებისმიერი ქმედებით, როდესაც იგი წამოიწყებს სასამართლო დავას, ან როდესაც უკვე დაწყებულ სასამართლო წარმოებისას კრედიტორი ახორციელებს ქმედებას, რომელიც სასამართლო განხილვის ადგილის სამართლის მიხედვით განიხილება, როგორც კრედიტორის განცხადება მოვალის მიმართ თავისი უფლების არსებობის შესახებ;
 - (ბ) მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი განაცხადებს საკუთარი უფლების შესახებ გადახდისუუნარობის საქმის [სასამართლოში] წარმოებისას; ან
 - (გ) სუბიექტის გაუქმების შესახებ საქმის [სასამართლოში] წარმოებისას, რომელიც არის მოვალე, მაშინ როდესაც კრედიტორი განაცხადებს საკუთარი უფლების შესახებ სუბიექტის გაუქმების საქმის [სასამართლოში] წარმოებისას.
- (2) ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება გრძელდება მანამ, სანამ შესაბამისი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი ან სანამ პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

მუხლი 10.6

(ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება საარბიტრაჟო წარმოებისას)

- (1) ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება კრედიტორის ნებისმიერი ქმედებით, როდესაც იგი წამოიწყებს საარბიტრაჟო დავას, ან როდესაც უკვე დაწყებულ საარბიტრაჟო წარმოებისას კრედიტორი ახორციელებს ქმედებას, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის სამართლის მიხედვით განიხილება, როგორც კრედიტორის განცხადება მოვალის მიმართ თავისი უფლების არსებობის შესახებ. საარბიტრაჟო წარმოების მარეგულირებელი ნორმების ან საარბიტრაჟო წარმოების დაწყების ზუსტი თარიღის განმსაზღვრელი დებულებების არარსებობისას, საარბიტრაჟო წარმოება დაწყებულად ითვლება იმ თარიღიდან, როდესაც დავის საგნის განხილვის მოთხოვნა მოვალეს მიუვა.
- (2) ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება გრძელდება მანამ, სანამ შესაბამისი საბოლოო მბოჭავი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი ან სანამ საარბიტრაჟო პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 10.7

(დავების ალტერნატიული გადაწყვეტა)

10.5 და 10.6 მუხლების ნორმები ვრცელდება შესაბამისი მისადაგებით სხვა წარმოებებზე, რომლის დროსაც მხარეები მიმართავენ მესამე პირს, იმისთვის რომ მან მხარეებს აღმოუჩოს დახმარება მათი დავის მშვიდობიანი გზით მოაგვარების თაობაზე მცდელობაში.

მუხლი 10.8

(ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ფორს მაჟორის [დაუძლეველი ძალის], სიკვდილის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში)

- (1) თუ კრედიტორი, თავისი კონტროლის მიღმა მყოფი დამაბრკოლებელი გაემოებების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ქმედება, რომელიც აუცილებელი იყო წინამდებარე წესების შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის დენის შესაჩერებლად, მაშინ ზოგადი ხანდაზმულობის ვადის დენა ისეთი სახით ჩერდება, რომ იგი არ დასრულდეს დამაბრკოლებელი გარემოებების მორჩენიდან ერთ წელზე ადრე.
- (2) თუ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს კრედიტორის ან მოვალის ქმედუუნარობა ან გარდაცვალება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეცერება აღარ მოქმედებს მას შემდეგ, როდესაც დაინიშნება ქმედუუნარო ან გარდაცვლილი პირის წარმომადგენელი, ან განისაზღვრება ასეთი პირის ქონება, ან როდესაც მისი მემკვიდრე მოიპოვებს შესაბამის უფლებებს აღნიშნულ პირთან მიმართებით. დამატებითი 1 წლიანი ვადა, როგორც ეს გათვალისწინებული არის ამ მუხლის (1) პარაგრაფით გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 10.9

(ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები)

- (1) ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ აუქმებს უფლებას.
- (2) იმისთვის, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლას მოჰყვეს შედეგი, მვალემ აღნიშნულის შესახებ უნდა განაცხადოს თავისი უფლების დაცვის მიზნებისათვის.
- (3) უფლება შეიძლება მაინც იყოს გამოყენებული დაცვის მიზნებისათვის მას შემდეგაც, როდესაც აღნიშნულ უფლებასთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ გაკეთებული იყო შესაბამისი განცხადება.

მუხლი 10.10

(გაქვითვის უფლება)

კრედიტორს შეუძლია გაქვითვოს მოთხოვნები, მანამ სანამ მოვალე განაცხადებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 10.11

(რესტიტუცია [შესრულების დაბრუნება])

იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება შესრულდა მისი შეწყვეტის მიზნით, მაშინ შესრულების უკან დაბრუნების უფლება არ არსებობს, თუ იგი მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლას ეფუძნება.

თავი 11- მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე

ნაწილი 1: მოვალეთა სიმრავლე

მუხლი 11.1.1

(დეფინიციები [ცნებები])

იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე მოვალეს აკისრია ერთი ვალდებულება კრედიტორის მიმართ:

(ა) ვალდებულებები მიიჩნევა სოლიდარულად თუ თითოეული მოვალე პასუხისმგებელია ვალდებულებისათვის მისი სრული მოცულობით.

(ბ) ვალდებულებები ცალ-ცალკე არის შესასრულებელი, იმ შემთხვევაში თუ თითოეული მოვალე პასუხისმგებელია ვალდებულების მხოლოდ გარკვეული ნაწილის შესრულებაზე.

მუხლი 11.1.2

(სოლიდარული ვალდებულებების [პასუხისმგებლობის] პრეზუმფცია)

მაშინ როდესაც რამდენიმე მოვალეს აკავშირებს ერთი ვალდებულება კრედიტორის მიმართ, იგულისხმება, რომ ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს ვალდებულებისთვის, თუ გარემოებები სხვა რამეზე არ მიუთითებს.

მუხლი 11.1.3

(კრედიტორის უფლებები სოლიდარული მოვალეების მიმართ)

მაშინ როდესაც მოვალეები სოლიდარულად არიან შესრულებაზე პასუხისმგებლები, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების

UNIDROIT PRINCIPLES

შესრულება ნებისმიერი მოვალისგან, სანამ ვალდებულება მთლიანად არ იქნება შესრულებული.

მუხლი 11.1.4

(დაცვის შესაძლო საშუალებები და გაქვითვის უფლება)

ის სოლიდარული მოვალე, რომლის წინააღმდეგაც კრედიტორმა დააყენა მოთხოვნა, უფლებამოსილია გამოიყენოს დაცვისა და ჩათვლის ყველა საშუალება, რომელიც უშუალოდ მას ეკუთვნის, ან რომლებიც საერთოა ყველა მოვალისთვის, თუმცა მას არ შეუძლია აღნიშნული უფლებების გამოყენება, იმ შემთხვევაში თუ ეს უფლებები მხოლოდ სხვა ერთ [მოვალეს] ან რამდენიმე სხვა მოვალეს ეკუთვნის.

მუხლი 11.1.5

(ვალდებულების შესრულების ან გაქვითვის შედეგები)

სოლიდარული მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება ან გაქვითვა, ან კრედიტორის მხრიდან ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ განხორციელებული გაქვითვა სხვა მოვალეებს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან კრედიტორთან მიმართებით ვალდებულების იმ მოცულობით, რომლის შესრულება ან გაქვითვაც განხორციელდა.

მუხლი 11.1.6

(პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა ან მორიგების შედეგები)

- (1) ერთი სოლიდარული მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ან ერთ სოლიდარულ მოვალესთან მორიგება, ათავისუფლებს სხვა ყველა დარჩენილ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულებისაგან იმ ნაწილში, რომელ ნაწილშიც მოხდა გათავისუფლება ან მორიგება შესაბამის ერთ სოლიდარულ მოვალესთან.
- (2) იმ შემთხვევაში თუ სხვა სოლიდარული მოვალეები შესაბამის ნაწილში გათავისუფლდებიან ვალდებულებისაგან იმის საფუძველზე, რომ კრედიტორი ერთ მოვალეს გაატავისუფლებს ვალდებულებისაგან, მაშინ სხვა დანარჩენ მოვალეებს აღარ ექნებათ უფლება რეგრესის წესით მოთხოვნით მიმართონ ამ ერთ [ვალდებულებისაგან გათავისუფლებულ] მოვალეს 11.1.10 მუხლის საფუძველზე

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 11.1.7

(ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან შეჩერების შედეგები)

- (1) ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ზეგავლენას არ იქონიებს:
 - (ა) სხვა დანარჩენი სოლიდარული მოვალეების ვალდებულებაზე; ან
 - (ბ) სოლიდარულ მოვალეებს შორის რეგრესის უფლებაზე 11.1.10 მუხლის თანახმად.
- (2) თუ კრედიტორი იწყებს სასამართლო პროცესს 10.5, 10.6 ან 10.7 მუხლების საფუძველზე სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება სხვა სოლიდარულ მოვალეებთან მიმართებითაც.

მუხლი 11.1.8

(სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი)

- (1) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კრედიტორის მიმართ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალდებულებას, ზეგავლენას არ იქონიებს:
 - (ა) სხვა სოლიდარულ მოვალეთა პასუხისმგებლობაზე კრედიტორის მიმართ; ან
 - (ბ) სოლიდარულ მოვალეებს შორის რეგრესის უფლებაზე 11.1.10 მუხლის თანახმად.
- (2) ამასთან, სხვა სოლიდარული მოვალეები უფლებამოსილნი არიან დაეყრდნონ ასეთ გადაწყვეტილებას, გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ გადაწყვეტილება იყო მიღებული პიროვნულად უშუალოდ მოვალის მიმართ. ასეთი შემთხვევა სოლიდარულ მოვალეებს შორის 11.1.10 მუხლის თანახმად რეგრესის უფლების საკითხსაც შესაბამისად შეეხება.

მუხლი 11.1.9

(სოლიდარულ მოვალეებს შორის გადანაწილება)

თუ გარემოებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სოლიდარულ მოვალეებს აკისრიათ თანაბარი ვალდებულება.

UNIDROIT PRINCIPLES

მუხლი 11.1.10

(რეგრესული მოთხოვნის ფარგლები)

სოლიდარული მოვალე, რომელმაც შეასრულა ვალდებულების უფრო დიდი ნაწილი ვიდრე მას ჰქონდა დაკისრებული, უფლებამოსილია მოითხოვოს თავის წილზე მეტი ოდენობით შესრულებული ვალდებულების კომპენსაცია სხვა სოლიდარული მოვალეებისაგან მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების წილის შესაბამისად.

მუხლი 11.1.11

(კრედიტორის უფლებები)

- (1) სოლიდარულ მოვალეს, რომელზეც ვრცელდება 11.1.10 მუხლი, ასევე შეუძლია გამოიყენოს კრედიტორის უფლებები, მისი შესრულების უზრუნველყოფის ყველა უფლების ჩართვით, უფლება აქვს მოითხოვოს თავის წილზე მეტი ოდენობით შესრულებული ვალდებულების კომპენსაცია სხვა სოლიდარული მოვალეებისაგან მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების წილის შესაბამისად.
- (2) კრედიტორი, რომელსაც არ მიუღია შესრულება სრულად, ინარჩუნებს თავის უფლებებს სხვა მოვალეების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილში და სხვა მოვალეების რეგრესის უფლების მიმართ სარგებლობს უპირატესი უფლებით.

მუხლი 11.1.12

(რეგრესული მოთხოვნის მიმართ დაცვის საშუალებები)

- (1) სოლიდარული მოვალე, რომლის მიმართაც დაყენებული არის მოთხოვნა სხვა სოლიდარული მოვალის მიერ, რომელმაც შეასრულა ვალდებულება:
 - (ა) უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი ზოგადი დაცვის საშუალებები და გაქვითვის უფლება, თუ ასეთი უფლება გააჩნია სხვა მოვალეს აქვს კრედიტორის წინაშე;
 - (ბ) უფლებამოსილია გამოიყენოს დაცვის ის საშუალებები, რომელიც მას პიროვნულად უშუალოდ გააჩნია;
 - (გ) არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს დაცვის საშუალება და გაქვითვის უფლება თუ ის უშუალოდ პიროვნულად ეკუთვნის ერთ სხვა ან რამდენიმე სხვა სოლიდარულ მოვალეს.

მუხლი 11.1.13

UNIDROIT PRINCIPLES

(ანაზღაურების შეუძლებლობა)

თუ სოლიდარული მოვალე, რომელმაც მის წილ ვალდებულებაზე უფრო დიდი ნაწილი შეასრულა, მიუხედავად მის მიერ გონივრული მცდელობისა სხვა სოლიდარული მოვალეებისაგან ვერ ახერხებს შესაბამისი კომპენსაციის მიღებას, მაშინ სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულების წილი, ვალდებულების ამ ნაწილის შემსრულებელი მოვალის წილის ჩათვლით, იზრდება შესაბამისი აუნაზღაურებელი წილით.

ნაწილი 2: კრედიტორთა სიმრავლე

მუხლი 11.2.1

(დეფინიციები/ცნებები)

როდესაც რამდენიმე კრედიტორს შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს ერთი და იმავე ვალდებულების შესრულება:

- (ა) მოთხოვნა განცალკევებულია, როდესაც კონკრეტული კრედიტორი უფლებამოსილია მხოლოდ საკუთარი წილის შესაბამისად დააყენოს მოთხოვნა.
- (ბ) მოთხოვნა სოლიდარულია, როდესაც თითოეული კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების სრულად შესრულება.
- (გ) მოთხოვნა სოლიდარულია როდესაც შესრულების მოთხოვნის დაყენება მოვალის მიმართ შეუძლია მხოლოდ ყველა კრედიტორს ერთობლივად.

მუხლი 11.2.2

(სოლიდარული მოთხოვნების შედეგები)

ვალდებულების სრული შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისთვის, მოვალეს მთლიანად ათავისუფლებს დანარჩენი კრედიტორების მიმართ ვალდებულებისაგან.

მუხლი 11.2.3

(მოვალის შესაგებელი [სამართლებრივი დაცვის საშუალება / პრეტენზია] სოლიდარული კრედიტორების მიმართ).

UNIDROIT PRINCIPLES

(ა) მოვალე უფლებამოსილია ნებისმიერ სოლიდარულ კრედიტორს წარუდგინოს ყველა შესაგებელი და გაქვითვის მოთხოვნა, რომლებიც გამომდინარეობს ამ კონკრეტულ კრედიტორთან მისი უშუალო ურთიერთობიდან, ან ის უფლებები, რომელთა წარდგენაც მას შეუძლია ყველა კრედიტორის წინაშე, თუმცა, ამასთან მას არ შეუძლია იმ შესაგებლისა და გაქვითვის მოთხოვნის დაყენება, რომლებიც გამომდინარეობს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე სხვა კრედიტორთან არსებული ურთიერთობიდან.

(ბ) 11.1.5, 11.1.6, 11.1.7, და 11.1.8 მუხლების დანაწესები ასევე ვრცელდება სათანადო მისადაგების გამოყენებით სოლიდარულ მოთხოვნებზე.

მუხლი 11.2.4

(სოლიდარულ რედიტორებს შორის გადანაწილება)

- (1) თუ გარემოებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სოლიდარული კრედიტორები ერთმანეთთან მიმართებით სარგებლობენ თანაბარი წილი უფლებებით.
- (2) კრედიტორი, რომელიც მიიღებს იმაზე დიდ წილ შესრულებას, ვიდრე მას ეკუთვნის, ვალდებულია, რომ აღნიშნული ნამეტი გადასცეს სხვა კრედიტორებს მათი სათანადო წილების შესაბამისად.